პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

- მექსიკის პრესა გააფთრებულ კამპანიას აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.
- გერმანიამ საბჭოთა კავშირს მისცა სესხი 75 მილ. გერმ. მარკის რაოდენობით.
- კალმაცულაში (რუმინეთი) დააპატიმრეს გლეხთა პარტიის ოცდა ხუთი წევრი.
- უნგრეთის მუშები აპირებენ საბჭოთა კავშირში დელეგაციის გაგზავნას.

ოთხშაბათი, 7 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 230 (1385)

ჩვენი ზრდის ფინანსიური შესაძლებლობანი

საბჭოთა რესპუბლიკების შეურყეველი სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე განმტკიცდა ჩვენი ფინანსიური მდგომარეობაც. ქვეყნის ეკონომიკის სარკეთ სამართლიანად ითვლება მისი ბიუჯეტი. კავშირის დამდგარი (1925—26) სამეურნეო წლის ბიუჯეტი მეტათ თვალსაჩინოთ ხდის საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს ფინანსების გაჯანსაღების საქმეში. თავის დროზე ჩვენ დაწვრილებით გვქონდა გაშუქებული ხსენებული ბიუჯეტის შინაარსი და ხასიათი. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ მისი საერთო რაოდენობა აღემატება 3.600.000.000 მანეთს. ამას თუ მივუმატებთ ადგილობრივ ბიუჯეტებს,—დაახლოვებით 1.300.000.000 მანეთს,—სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების საერთო ჯამი 1925—26 წელში გამოიხატება დაახლოვებით 5 მილიარდი მანეთით, რაც გასული სამ. წლის ბიუჯეტს აღემატება 40 პროც. უდიდესი ზრდა ამ მხრივ უდავოა. რა თქმა უნდა, ამის წყალობით გაცილებით უფრო ფართოთ იქნება დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილებანი. კერძოთ განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მრეწველობას.

ძირითადათ სადღეისო ამოცანათ მიჩნეულია ძირითადი კაპიტალის განახლება მრეწველობაში. ამ ამოცანის გადაუჭრელათ შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის საჭირო მასშტაბით გაშლა. საბიუჯეტო წესით საკმაოდ დიდი თანხის გადადებაა გადაწყვეტილი ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებად, ძველებისათვის თანამედროვე მოწყობილობის შესაძენათ, სოფლისათვის სამეურნეო იარაღების და მანქანების მისაწოდებლათ.

მაგრამ ცხადია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი, ჯერ-ჯერობით მაინც, ვერ აიტანს ამ მხრივ არსებულ ყველა საჭიროებათა დაკმაყოფილებას,—იმდენათ დიდია ჩვენი აღმშენებლობის გადაუდებელი ამოცანები. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ საქმისათვის შესაძლებლობის ფარგლებში გამოყენებული იქნება განვითარების გზაზე შემდგარი საბანკო კრედიტის სისტემა. კერძოთ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შინაური სესხის საკითხის მოგვარებას. როგორც ამას წინათ თბილისში ჩატარებულმა სახელმწიფო მომგებიანი სესხის ტირაჟმაც დაგვანახა, სესხის იდეა მეტათ პოპულიარული ხდება მშრომელთა ფართე მასებში. ჩვენი მიზანია მოსახლეობაში გაბნეული წვრილ-წვრილი თავისუფალი, „შავი დღისათვის" შემონახული თანხები უქმათ არ ელაგოს ზანდუკებში; საჭიროა მათ თავი მოუყაროთ სახელმწიფოს სალაროში, რომ ამ გზით ხალხმაც ნახოს სარგებლობა და ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისათვისაც შეიქმნეს დამატებითი წყარო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. სამეურნეო აღორძინების სესხის (300 მილიონ მანეთის რაოდენობით) გამოშვება, რომელიც განზრახულია ახლო მომავალში. ეს თანხა სპეციალურად მოხმარდება მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის აღდგენა-გაფართოების საქმეს.

საბიუჯეტო წესით გადადებული და სესხებიდან შემოსული საშუალებანი, დაახლოვებით 800—900 მილიონი მანეთი გადადებული იქნება 1925—26 წელში მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის. ეს მეტათ მნიშვნელოვანი თანხაა, რომელიც ჩვენი ეკონომიკის სწრაფ ზრდას და გაფართოებას მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს. ამავე დროს ჩვენ ვცდილობთ უცხოეთის კაპიტალის დაბანდებას ჩვენს მეურნეობაში. როგორ სწრაფად არ უნდა იზრდებოდეს ჩვენი საკუთარი საშუალებანი, ჩვენი მეურნეობის სასურველი ტემპით განვითარებისათვის უცხოეთის კაპიტალის მოზიდვას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ცნობილია, რომ დღემდე ფაქტიურად ფინანსიური ბლოკადა გვაქვს გამოცხადებული. კაპიტალისტები კიდევ ატარებენ გულში იმედის ნასახს, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ფეხზე წამოდგომას საკუთარი საშუალებებით და რომ იძულებული გავხდებით მათი ოქროს ტახტის წინაშე წამოვიჩოქოთ. ჩვენმა ზრდამ მათ საკმაო გაკვეთილები მისცა, მაგრამ ბევრი მათგანი მაინც განაგრძობს ჯიუტობას. სულაც რომ არ ვილაპარაკოთ ფულად კრედიტზე, უცხოელი კაპიტალისტები საქონლის სესხსაც ნაკლებათ გვაძლევენ, საკონცესიო კაპიტალიც დიდი რაოდენობით არ მოემართება ჩვენსკენ. აქ ისინი ხელმძღვანელობენ პოლიტიკური მოსაზრებებით, ხოლო ეკონომიურათ ეს მათთვისვე საზარალოა: მათი კაპიტალი ხშირათ ვერ შოულობს ბაზარს და უქმათ აწყვია. ბოლოს და ბოლოს კაპიტალისტების გონიერ წრეებში მაინც იმარჯვებს ეკონომიური რეალიზმი და ირღვევა ფინანსიური ბლოკადის რკალი. უკანასკნელ ხანებში მეტ საქონელს გვაძლევენ ნისიათ, ზოგიერთები მნიშვნელოვან კონცესიებსაც ხელს აწერენ. ყინული თანდათან დნება და ეხლა ფულადი კრედიტიც დაიწყო. ფინანსიური ბლოკადა გაირღვა პირველ ყოვლისა გერმანიაში. დღეს მკითხველი გაეცნობა ამხ. სოკოლნიკოვის განცხადებას, რომ დადებულია შეთანხმება საკავშირო სახელმწიფო ბანკსა და გერმანიის მსხვილ ბანკების ჯგუფებს შორის ჩვენთვის 75 მილიონ მარკის კრედიტის გახსნის შესახებ.

ეს უეჭველათ ჩვენი დიდი მორიგი გამარჯვებაა. მკითხველს ეხსომება, რომ ინგლისი ერთ დროს, ახლო წარსულში, ცდილობდა სხვადასხვა ქვეყნების ბანკების ბლოკის შექმნას საბჭოთა კავშირის ფინანსიური ბოიკოტის მიზნით. ამ ბლოკში ლამობდენ გერმანიის ჩათრევასაც. როგორც ეტყობა, ეს ცდა დამარცხებით დამთავრებულა. ხსენებული შეთანხმება, გარდა უშუალო სარგებლობისა, იმ ღირებულებასაც წარმოადგენს, რომ ის ფინანსიური ბლოკადის უნიადაგობის მაჩვენებელია.

უეჭველია, რომ სხვა ქვეყნებიც და ბანკებიც ადრე თუ გვიან იძულებული შეიქნებიან კრედიტი გაგვიხსნან. ამას უკარნახებენ მათ პირველ ყოვლისა მათივე ინტერესები. მაგრამ თავის თავად ცხადია, უმთავრეს იმედს ჩვენ ისევ საკუთარ ძალებსა და საშუალებებზე ვამყარებთ.

საჭიროა სიფრთხილე

ვინც ჩვენს სოფელში თუნდაც გავლით ყოფილა, მას ეცოდინება, რომ სოფლის ერთ-ერთ მთავარ სტკივილს შეადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებით სარგებლობის მოწესრიგება, ამ ტყეების გლეხობისათვის გადაცემის საკითხის მოგვარება. გლეხობამ საერთოდ უკვე იცის ამაზე მთავრობის დადგენილება. ამით იგი მეტად კმაყოფილია. მხოლოდ კითხულობენ, როდის დასრულდება ეს საქმე და რომელი ტყეები გადავა მათ სარგებლობაში.

მიწათმოქმედების კომისარიატი გაცხოველებულ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს ამ დარგში. კამპანია გლეხობისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გადასაცემად დაიწყება 15 ოქტომბრიდან. კომისარიატის გამოანგარიშებით, მთელ საქართველოში ტყე გადაეცემა 3.170 სოფელს, რომლებშიაც ითვლება 377.000-ზე მეტი კომლი; მათ მიეცემათ რესპუბლიკის მთელი ტყეების საერთო სივრციდან 134500 დესეტინა.

ეს უდიდესი ღონისძიება უნდა ჩატარდეს სათანადო სიფრთხილით ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების სრული გათვალისწინებით და ფრთხილათ. ამ საქმეში მარტო ცენტრი, მიწათმოქმედების კომისარიატის სახით, ვერ ასცდება შეცდომებს. [illegible] თავის წერილში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებისადმი, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, სამართლიანად აღნიშნავს, რომ მთელი მუშაობა გლეხობისათვის სატყეო რაიონების გადასაცემად უნდა სწარმოებდეს თემაღმასკომების და სასოფლო საბჭოების წარმომადგენელთა უახლოესი მონაწილეობით, ვინაიდან საბჭოთა ქვედა აპარატის მხრით ნაკლები ყურადღების გამოჩენა ხსენებულ მუშაობისადმი შექმნის საშიშროებას ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გლეხობისათვის თავის დროზე გადაცემის დასრულებისათვის და გლეხობის საჭიროებათა არასაკმარისად დაკმაყოფილების მხრივაც. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ჩვენშიაც იქნება მხედველობაში მიღებული და სათანადო კამპანია ჩატარდება საკითხის ადგილობრივად საფუძვლიანი გამორკვევის გზით და მოსახლეობის წარმომადგენელთა უშუალო დახმარებით.

მთავარია იმის გამორკვევა, თუ რომელი ტყეები უნდა გადაეცეს გლეხობას, რომელი ტყეები უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონედ. საბჭოთა რუსეთის მიწათმოქმედების კომისარიატმა შეიმუშავა გლეხობისათვის ტყეების გადაცემის ასეთი წესი: ყველა სატყეო ადგილები, რომელიც ეხლა შეჭრილია გლეხთა მიწა-წყალში ან იჯარით აქვთ აღებული სოფლის საზოგადოებებს, პირველ რიგში გადაეცეს გლეხობის შრომითი სარგებლობაში ეს ხდება ასეთი ტყეების საზოგადოებრივ მიწებისადმი უბრალო მიწერით. მეორე რიგში გლეხობა მიიღებს დანარჩენ რაიონებს, რომელთა გადაცემა მისთვის გადაწყვეტილია.

ასეა თუ ისე, ეს საქმე საკმაოდ რთულია და მისი მოგვარება, ვიმეორებთ, უნდა მოხდეს სათანადო სიფრთხილით, მაგრამ ამასთან დაუყოვნებლად,—გლეხობის საჭიროებათა ადგილობრივად გათვალისწინების ნიადაგზე და საბჭოების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით. მხოლოდ მაშინ ავიცდენთ შესაძლებელ შეცდომებს და გაუგებრობათ.

მეორე საკითხია გლეხობისათვის გადაცემულ ტყეების მოვლა-პატრონობა. ჩვენში ძალიან გავრცელებულია ტყეების უთავბოლო ჩეხვა, რაც უეჭველად დიდ უბედურებას გვიქადის, თუ ამის წინააღმდეგ არ იქნა მიღებული გადამჭრელი ზომები. სოფლის ხელში ტყეების გადასვლას არამც და არამც არ უნდა მოჰყვეს მათი გაჩანაგება. ადგილობრივმა მოსახლეობამ და ხელისუფლებამ სათანადოთ უნდა მოაგვარონ ხსენებული ტყეების დაცვის და მიზანშეწონილი მოხმარების საქმე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჩიჩერინმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ფუჭია იმედი, თითქო საბჭოთა კავშირი როდესმე შევა ერთა ლიგაში

ინგლისური გაზეთები ჩიჩერინის ჩასვლას გერმანიაში საგარანტიო კონფერენციის წინ უწოდებენ „ბრძოლას შორ მანძილზე ჩიჩერინსა და ჩემბერლენს შორის"

ინგლისური გაზეთები არ არიან დარწმუნებული, რომ „ბრძოლიდან შორ მანძილზე" ჩემბერლენი გამოვა გამარჯვებული

გერმანიის ბანკებმა საკავშირო სახელმწიფო ბანკს გაუხსნეს კრედიტი 75 მილიონი ოქროს მარკის რაოდენობით

გერმანიის პრესის წარმომადგენლები ჩიჩერინთან

ამხ. ჩიჩერინი რაპალოს ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი, 5 ოქტომბერი. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ის წარმომადგენელთან საუბარში ჩიჩერინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რაპალოს ხელშეკრულება არ შეიცავს არავითარ საიდუმლო შეთანხმებას. მან დასძინა აგრეთვე, რომ რამდენადაც საქმე შეეხება რაპალოს ხელშეკრულებას, ისმება საკითხი არა მარტო მისი სრული ტექსტის, არამედ აგრეთვე იმ შინაარსის შესახებ, რომელიც მასში არის ჩაქსოვილი. სწორედ ამიტომ მეორე მხარის მიერ ისეთ მნიშვნელოვანი ნაბიჯის,—როგორიც არის ერთა ლიგაში შესვლა,—დეტალურად განხილვა, წარმოადგენს რაპალოს პოლიტიკის მთავარ ნაწილს.

კიდევ არ არის გამორკვეული საკითხი, აღნიშნა ჩიჩერინმა, იქნება თუ არა გერმანია იძულებული ერთა ლიგაში წევრად შესვლის დროს ხელახლა გაატაროს რეგისტრაციაში რაპალოს ხელშეკრულება და შესძლებენ თუ არა მომავალში სხვა სახელმწიფოები პროტესტის გამოთქმას ხელშეკრულების წინააღმდეგ. რაპალოს ხელშეკრულების გარშემო განგაშის ატეხის გზით მე-16-ე მუხლის (რომელიც ავალებს ერთა ლიგის ყველა წევრებს მონაწილეობის მიღებას ღონისძიებებში იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც ლიგა იცნობს „მშვიდობიანობის დამრღვევად") მიღების შედეგების მიჩქმალვის ცდა ახდენს დიპლომატიური მანევრის შთაბეჭდილებას.

შეკითხვაზე საბჭოთა პოლიტიკის მთავარი მომენტების შესახებ შორეულ აღმოსავლეთში, ჩიჩერინმა განაცხადა: „მთელი ჩვენი პროპაგანდა ჩინეთში გამოიხატება ოფიციალურ თანაგრძნობის გამოთქმაში გომინდანის პროგრამის მიმართ. მაგრამ გერმანიამაც დასდო ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც სცნობენ ჩინეთის სრულ დამოუკიდებლობას. ამერიკაც აცხადებს, რომ მისი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ იცავს ჩინეთის განთავისუფლებას „მზრუნველობისაგან".

შემდეგ ჩიჩერინი შეეხო საბჭოთა კავშირის და ამერიკის საქმიან ურთიერთობის საგრძნობლად განვითარებას და ამერიკის პრესის კილოს შეცვლას საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმიანი ურთიერთობის სრული განვითარება ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შემდეგ. ამას კი დიდათ აფერხებს ის გარემოება, რომ ამერიკის ხალხი არ იცნობს საბჭოთა კავშირის ნამდვილ მდგომარეობას.

შემდეგ ჩიჩერინმა მიუთითა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოვების დიდ მნიშვნელობაზე, ფინეთთან, ლიტვასთან და ლატვიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე; ურთიერთობა ესტონეთთან უკანასკნელ დროს ძალიან გართულებულია.

საბჭოთა კავშირი არ შევა ერთა ლიგაში

ბერლინი, 5 ოქტომბერი. „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგ"-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩიჩერინმა გადაჭრით უარჰყო ზოგიერთი გაზეთების მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირს განზრახული ჰქონდეს შევიდეს მომავალში ერთა ლიგაში. „საკითხს ერთა ლიგაში შესვლის შესახებ, სთქვა ჩიჩერინმა, ჩვენ საერთოდ არ ვაყენებთ. ჩვენ უარს ვამბობთ, რა პირობებშიაც არ უნდა იყოს ეს, ერთა ლიგაში შესვლით გავაძლიეროთ სხვა სახელმწიფოების პრესტიჟი. საბჭოთა კავშირი მადლობელია მოშინაურებულ ცხოველის როლისათვის ამა ქვეყნის ძლიერთა კარზე.

უდავოა ის ფაქტი, რომ ყოველი ერი, რომელიც შედის ერთა ლიგაში, მსხვერპლად იღებს თავის თავისუფლებას, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ ის არ ეკუთვნის გამარჯვებულ სახელმწიფოთა რიცხვს".

ყველა მიმართულების პრესა ხაზს უსვამს იმ განსაკუთრებულ გულახდილობას, რომელსაც იჩენს ჩიჩერინი გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის შედეგების დახასიათებაში.

„დაპირებული უპირატესობანი,—სთქვა ჩიჩერინმა,—მხოლოდ დაპირებებათ დარჩებიან".

შემდეგ ჩიჩერინმა განმარტა, რამდენად შეუძლია ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლს აიძულოს გერმანია მონაწილეობა მიიღოს ეკონომიურ ღონისძიებებში სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ. ინგლისის ბანკებმა უკვე დაიწყეს ბოიკოტის გამოცხადება საბჭოთა კავშირის სავაჭრო ოპერაციებისადმი უცხოეთში ჩვენი სავაჭრო თამასუქების განაღდებაზე უარის თქმის გზით.

შემდეგ ჩიჩერინმა დაუპირისპირა „დასავლეთის გამარჯვებული მოქიშპე, მაგრამ ერთმანეთისადმი მტრული განწყობილი დასავლეთის სახელმწიფოები გამოფხიზლების გზაზე დამდგარ აღმოსავლეთის ძლიერ ერებს". საბჭოთა კავშირი აზიის ხალხთა ბუნებრივი მეგობარია. საბჭოთა კავშირი გამოვიდა, როგორც ჩინეთის ნამდვილი მეგობარი. იაპონია საბჭოთა კავშირთან იჭერს მეგობრულ ურთიერთობას.

იმდენად, რამდენადაც ძლიერდება საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა აზიის ხალხებთან, იზრდება ინგლისის მტრული განწყობილება საბჭოთა კავშირის მიმართ. ინგლისის პროგრამა მდგომარეობს იმაში, რომ გამოიყენოს დასავლეთი და შეასუსტოს საბჭოთა კავშირის გავლენა აღმოსავლეთში.

საგარანტიო ხელშეკრულება, გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში, ლაპარაკი საფრანგეთის თავდასხმისაგან გერმანიის დაცვის შესახებ—ყველაფერი ეს,—სთქვა ჩიჩერინმა,—წარმოადგენს მხოლოდ რეპეტიციას იმ დიდი იერიშების დაწყების წინ, რომელიც მიმართული იქნება აზიის გამოფხიზლებულ ხალხების და მისი მეგობრების წინააღმდეგ".

საგარანტიო კონფერენცია

ჩემბერლენი ლოკარნოს კონფერენციის შესახებ

ლონდონი, 5 ოქტომბერი. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ „ლოკარნოს კონფერენცია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კონფერენციაა ვერსალის ხელშეკრულების დადების შემდეგ; არავის არ უნდა გაუკვირდეს, რომ ინგლისმა იმოქმედოს განსაკუთრებული სიფრთხილით".

ჩემბერლენი განსაკუთრებით კმაყოფილია შტრეზემანის განცხადებით, რომ ჩიჩერინის ჩასვლას ბერლინში არაფერი ცვლილება არ გამოუწვევია გერმანიის პოლიტიკურ ორიენტაციაში.

ინსტრუქციები გერმანიის დელეგაციას

ბერლინი, 5 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, გერმანიის დელეგაციამ ლოკარნოში გერმანიის მთავრობის უკანასკნელი სხდომის შემდეგ მიიღო ინსტრუქცია არ დაიჭიროს არავითარი ვალდებულება ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხში, სანამ დაკმაყოფილებული არ იქნება გერმანიის მოთხოვნილებები ერთა ლიგის წესდების მე-16-ე მუხლის შეცვლის შესახებ.

სესხის მიღება უცხოეთში

მოსკოვი, 6 ოქტ. ფინანსთა სახ. კომისარმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „კავშირის 1925—26 წლის ბიუჯეტის შედგენა თავდება ფინანსთა სახ. კომისარიატში მისი საბოლოო დამუშავებით.

ბიუჯეტის საერთო ჯამი 1925—1926 წლისათვის 3.600.000.000 მანეთს აღემატება. კავშირის ადგილობრივ ბიუჯეტების ჯამი უდრის დაახლოვებით — 1.800.000.000 მანეთს. ამ ჯამში შედის ყველა ადგილობრივი ბიუჯეტი სათემო ბიუჯეტებთან ერთად.

სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტების საერთო ჯამი უდრის დაახლოვებით 5 მილიარდ მანეთს; ამგვარად 1925—26 წლის ბიუჯეტი აღემატება 1924—26 წლის ბიუჯეტს დაახლოვებით 40 პროც.

საზღვარ-გარეთ კრედიტის აღების საქმეში ჩვენ მივაღწიეთ დიდ წარმატებას. სახელმწიფო ბანკის მიერ გერმანიის დიდ ბანკების ერთ ჯგუფთან მიღწეულია შეთანხმება, რომლის ძალით სახელმწიფო ბანკს ეძლევა სესხი 75 მილიონი გერმანული მარკის რაოდენობით. ეს სესხი საშუალებას გვაძლევს ნისიათ შევიძინოთ გერმანიაში საქონელი 100 მილიონი ოქროს მარკის რაოდენობით.

ეს შეთანხმება ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის კრედიტი ერთის მხრივ საშუალებას აძლევს ჩვენს მეურნეობას დააჩქაროს და გააფართოვოს საქონლის შემოტანა საბჭოთა კავშირში, ხოლო მეორეს მხრივ, ბოლო ელება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ საკრედიტო ბლოკადის პოლიტიკას.

შტრეზემანის განცხადება

ბერლინი, 5 ოქტომბერი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შტრეზემანი შეეხო ჩიჩერინის ჩასვლას ბერლინში და აღნიშნა, რომ ჩიჩერინმა ისარგებლა სამკურნალოდ წამოსვლით, რათა ეთათბირა გერმანიის მთავრობის წევრებთან ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებზე.

„უსაფუძვლო ფიქრი,—სთქვა შტრეზემანმა,—რომ მოლაპარაკებას, რომელსაც აწარმოებდა ჩიჩერინი გერმანიაში, რაიმე სენსაციური, არაჩვეულებრივი ხასიათი ჰქონდეს. შემცდარია აზრი, თითქოს გერმანიამ უნდა მოახდინოს არჩევანი დასავლეთის და აღმოსავლეთის ორიენტაციას შორის. გერმანიას სურს დაიცვას მეგობრული დამოკიდებულება ყველა სახელმწიფოებთან".

ანტისაბჭოთა კამპანია მექსიკაში

ნიუ-იორკი, 5 ოქტომბერი. მექსიკის პრესაში გამოქვეყნდა მთელი რიგი წერილებისა იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა პესტკოვსკიმ, რომელიც ასრულებს ჩიჩერინის განკარგულებას გამოიყენოს მექსიკა ბოლშევიკური პროპაგანდის ბაზად, კავშირი დაიჭირა რევოლიუციონურ ანარქო-სინდიკალისტურ კავშირის შეთქმულებასთან, მექსიკის მთავრობის ჩამოგდების და მექსიკაში საბჭოთა წესწყობილების დამყარების მიზნით".

მთელი ეს ისტორია გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: როცა საბჭოთა კავშირიდან ჩამოვიდა მუშების ერთი ჯგუფი მექსიკის ნავთის სამრეწველოებში სამუშაოდ, საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა 3 ივნისს დაუგზავნა ყველა პროფორგანიზაციებს და მთავრობის მოხელეებს ბარათები, რომლებითაც ისინი მიპატიჟებული იყვნენ წვეულებაზე სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ბინაზე. ერთი მიწვევის ბარათი ხელში ჩაუვარდა ბურჟუაზიული პრესის რეპორტიორს. ბურჟუაზიულმა პრესამ ისარგებლა ამ შემთხვევით და დაიწყო ახალი კამპანია საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის წინააღმდეგ. გაზეთ „უნივერსალის" რეპორტიორი ესაუბრა შრომის გაერთიანებული კონფედერაციის გენერალურ მდივანს რომელმაც სასტიკად გაილაშქრა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, უარჰყო ყოველგვარი კავშირი სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან. სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მიწვევაზე, როგორც მდივანმა განაცხადა, მის ორგანიზაციას პასუხიც არ გაუცია. ამასთან ერთად გენერალურმა მდივანმა კატეგორიულად უარჰყო ცნობა, თითქოს შრომის გაერთიანებული კონფედერაცია მოითხოვდა საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის გაძევებას. როგორც იტყობინებიან გაზეთები, ეს შრომის რეფორმისტული კონფედერაციის საქმეა.

„ბრძოლა შორ მანძილზე"

ბერლინი, 5 ოქტ. ლოკარნოს კონფერენციის შესახებ გაზეთები სწერენ „ბრძოლაზე შორ მანძილზე ჩემბერლენსა და ჩიჩერინს შორის" და არ არიან დარწმუნებული, რომ ამ ბრძოლიდან ჩემბერლენი გამოვა გამარჯვებული.

თვით თეთრგვარდიელთა ორგანო „რულ"-იც მოწინავე წერილში აღიარებს, რომ ჩიჩერინის მოგზაურობა „წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკური ყურადღების ცენტრს".

ცვლილებები საფრანგეთის მთავრობაში

პარიზი, 5 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის განათლების მინისტრი დე-მონზი დანიშნული იქნება იუსტიციის მინისტრად სტეიგის მაგიერ, რომელიც შესცვლის ლიოტეს მაროკოს უმაღლესი კომისარის თანამდებობაზე.

ფინეთის ფლოტის დაღუპვა

ჰელსინგფორსი, 5 ოქტ. ფინეთის პრესა იუწყება ფინეთის ფლოტის დაღუპვის შესახებ. ფლოტს მოუსწრო ზღვაში ქარიშხალმა 4 ოქტომბერს ღამით ქალაქ აბოსა და ვახს შუა. ნაღმოსანი „სიუ" ჩაიძირა ბოტნის სრუტეში. მეორე გემი ძალიან დაზიანებული მიადგა შვეციის ნაპირს საგუშაგო გემის „ხიამონმას" შესახებ არავითარი ცნობა არ არის.

გერმანიის მუშათა დელეგაციის ანგარიში

ბერლინი, 5 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ გერმანიის მუშათა დელეგაციის კოლექტიური ანგარიში გამოქვეყნებული იქნება ნოემბერში.

ანგარიშის გავრცელება 100,000 ეკზემპლიარის რაოდენობით უკვე უზრუნველყოფილია მიღებულ დაკვეთებით.

უნგრეთის მუშების დელეგაცია

ვენა, 5 ოქტომბერი. უნგრეთის როიალების წარმოების მუშათა პროფკავშირმა დაადგინა წინადადება მისცეს ხის დამმუშავებელთა პროფკავშირის პრეზიდიუმს გაგზავნოს დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

აბდ-ელ-ქერიმის წერილი ამერიკელებისადმი *)

ჩემო ძვირფასო ძმებო!

ბუენოს-აირესის „აღორძინების" ჯგუფის მიერ ჩემ მეგობრულად მოპატიჟების საპასუხოდ, მე სიხარულით აღსავსე გულით მივმართავ სამხრეთ ამერიკის ყველა ხალხებს ამ საზეიმო დღეებში, როდესაც ისინი დღესასწაულობენ თავიანთ გამარჯვებას, რომელმაც დასაწყისი მისცა მათ დამოუკიდებლობას და განთავისუფლებას უცხოეთის ბატონობისაგან.

არ არსებობს კიდევ იმაზე უფრო უდავო და წმინდა უფლება, ვინემ არის უფლება ამა თუ იმ ხალხისა მართოს თავისი საქმეები ისე, როგორც მის ხასიათს და ბუნებას შეეფერება და ისეთი მთავრობა ჰყავდეს, რომელიც მის მისწრაფებებს გამოხატავს. თქვენი გამარჯვების ასი წლის თავისთვის გამართული დღესასწაული გამოხმაურებას პოულობს ყველა ხალხებში, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისათვის და მეც, როგორც რიფების რესპუბლიკის დროებითი რეგენტი (მმართველი), დიდი აღფრთოვანებით ვინაწილებ ამ საზეიმო წუთებში თქვენ გრძნობებს.

მაროკოს გმირული ხალხი იბრძვის ამჟამათ იმავე იდეალებისათვის, რომლებისთვისაც იბრძოდენ მირანდა, მორერო, ბოლივარ და სან მარტინი. მე ყოველთვის მიყვარდენ და მოწიწებით პატივს ვსცემდი ამ თქვენ ეროვნულ გმირებს. ჩვენ ისეთი ეროვნული, კულტურული და სარწმუნოებრივი თვისებები გვაქვს, რომლებიც გვიკრძალავენ მივიღოთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს ბატონობა. როგორც თქვენ იბრძოდით ასი წლის წინეთ, რომ დაგეცვათ თქვენი დამოუკიდებლობა, ისევე ვიბრძვით დღეს ჩვენც და მივაქვს ჩვენი სიცოცხლე ეროვნული თავისუფლების სამსხვერპლოზე.

გახრწნილმა მსოფლიო ომის გავლენით, ჩაფლულმა ზნეობრივ ანარქიაში იმპერიალისტური მსუნაგობის გამო, რომელიც ასე დამახასიათებელია კაპიტალისტური წესწყობილებისათვის,—ევროპამ დაჰკარგა უფლება თავზე მოახვიოს თავისი აზრები და ნებისყოფა სხვა კონტინენტის ხალხებს. ჩვენი მისწრაფებაა ავაშენოთ ისეთი ცივილიზაცია, რომელიც დაეყრდნობა მშვიდობიანობაზე და სოციალურ სამართლიანობაზე ჩვენი, არაბული რასის ხალხების მისწრაფებაა თავიდან მოვიშოროთ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ესპანეთის ბატონობის უღელი. ჩვენმა ძმებმა, ეგვიპტელებმა, მიიტანეს პირველი იერიში და მე იმედი მაქვს, რომ მეორე იერიში იქნება აქ, მაროკოში. მაშინ ჩამოჰკრავს ზარი ალჟირის, ტუნისის ტრიპოლისათვის, რომელთა ხალხები უკვე ემზადებიან თავის განთავისუფლებლად.

ჩვენი საქმე აბსოლიუტურათ ისეთივეა, როგორიც თქვენი იყო, ის არის სამართლიანი. ჩვენ ზიზღი კი არ გვამოძრავებს ესპანიისადმი, რომელიც წინეთ იყო ჩვენი სამშობლო და აკვანი ჩვენი წინაპრებისა. ყოველმა განათლებულმა ესპანელმა იცის, რომ ესპანეთის ხელოვნების ოქროს ხანაში არაბები იქ უმრავლესობას შეადგენდენ. და ის საბედისწერო მომენტი, როდესაც რელიგიურმა ომმა ჩვენ გამოგვდევნა ნახევარკუნძულიდან, რომელიც შემკული იყო ჩვენი ხელოვნებით და გამდიდრებული ჩვენი დაუღალავი მუშაობით,—ეს მომენტი იყო იმავე დროს საბედისწერო, რომელმაც ესპანეთი ჩააყენა შეუჩერებელი დაცემა-დაქვეითების პირობებში, რომელშიც ის დღესაც ჩაძირულია.

ესპანეთის სამხედრო სარწმუნოებრივ კასტას შოვინიზმი არის ის საშინელი სენი, რომელმაც ჩაითრია მისი ხალხი გიჟურ და განმანადგურებელ ომში, მთელი მაროკო გადააქცია მის შვილთა სასაფლაოთ და იმ უძირო სივრცეთ, სადაც ინთქება ესპანეთის ხალხის სიმდიდრე. აქ გზავნიან მოსაკლავად საბრალო ახალგაზრდა ესპანელებს ისევე, როგორც ამ ასი წლის წინეთ აგზავნიდენ ანდების მინდორ-ველებზე და ოცდა ათი წლის წინეთ აგზავნიდენ კუბაში საშინელი ციების მსხვერპლათ, იქ რომ მძვინვარებდა.

ჩვენ არ გვინდა ეს საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ჩვენ მოვითხოვთ ესპანელებისაგან დაანებონ თავი ამ სიმხეცეს. დასცალონ მაროკო, როგორც ერთ დროს, მათ დასცალეს ამერიკა და მოგვცილდენ თავიდან. გვაცალონ მშვიდობიანი მუშაობა, განათლება-განვითარება, რომელიც მოგვცემს ჩვენ საშუალებას, როგორც თქვენ ეს მოახერხეთ, დავიკავოთ ჩვენი ადგილი ხალხთა ძმურ კავშირში.

ჩვენ არ შევწყვეტთ ბრძოლას, სანამ არ მივაღწევთ მიზანს, რომელიც მდგომარეობს ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე და აღმოსავლეთ აზიაში მცხოვრებ არაბ ხალხთა განთავისუფლებაში. თავისუფალი მაროკო და ეგვიპტე შეიქნება კერა იმ რასის აღორძინებისა, რომელმაც გააბრწყინა კალიფატის სამი ცივილიზაცია.

ჩვენ ვწუხვართ, რომ ომი და ის ფაქტი, რომ ჩვენ არ ვართ ცნობილი ევროპის იმპერიალისტური ქვეყნებისაგან, საშუალებას გვისპობს გამოვგზავნოთ სპეციალური დელეგაცია თქვენი განთავისუფლების ასი წლის თავის ბრწყინვალე დღესასწაულზე დასასწრებლად. მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ არ დაგვეჭირდება ვუცადოთ მეორე ასი წლის შესრულებას, რომ მეგობრული და ძმური კავშირი დავიკავოთ თქვენ მთავრობასთან, კავშირი, რომელიც აგებული იქნება გულწრფელობაზე და არა თვალთმაქცობაზე, რომელიც ახასიათებს კაპიტალისტური იმპერიალიზმის დიპლომატიას.

აბდ-ელ-ქერიმი.

დროებითი რეგენტი რიფების რესპუბლიკისა

---

*) ამ წერილით მიმართა აბდ-ელ-ქერიმმა ბუენოს-აირესის (არგენტინა) უნივერსიტეტის სტუდენტობას ესპანეთის ბატონობისაგან არგენტინის ხალხის განთავისუფლების 100 წლის თავის გამო. წერილი დაბეჭდილია „ლიუმანიტე"-ში.

ტევტონელების კამპანია ლოკარნოს კონფერენციის წინააღმდეგ

ბერლინი, 5 ოქტ. პრესის ცნობით, უკანასკნელ დროს ტევტონელებმა—ფანატიკოსებმა აუარებელი მუქარის წერილები გაუგზავნეს შტრეზემანს.

ლიუტერმა და შტრეზემანმა დასტოვეს გერმანიის დელეგაციის სპეციალური მატარებელი სადგურ ბელინცონაში, საიდანაც გაემგზავრენ ლოკარნოში ავტომობილით. გერმანიის დელეგაციას თან მიჰყვებიან პოლიციის მრავალი აგენტები.

„მთლიანობის ნაციონალური ფრონტის" პრეზიდიუმმა გაუგზავნა შტრეზემანს დეპეშა, რომელშიაც აფრთხილებს ლოკარნოს კონფერენციაზე ისეთი ვალდებულებების მიღებისაგან, რომლებიც განამტკიცებენ ვერსალის ხელშეკრულებას იმ პარაგრაფის შემწეობით, რომელიც შეეხება ომისათვის პასუხისმგებლობას.

რუმინეთის გლეხთა პარტიის წევრების დაპატიმრება

ვენა, 5 ოქტომბერი. დაბა კალმაცულაში (რუმინეთი) დაპატიმრებულია გლეხთა პარტიის 25 წევრი.

კომუნისტების დევნა ბესარაბიაში

ვენა, 5 ოქტ. „უნივერსულ" იტყობინება, რომ რუმინეთის „ოხრანკამ" თითქოს აღმოაჩინა ხოტინში ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც ამზადებდა აჯანყებას ოქტომბერში; თითქოს, აღმოაჩინეს დიდძალი იარაღი, საომარი მასალები და კომუნისტური ლიტერატურა.

დაპატიმრებულია რამოდენიმე ასი კაცი.

ტატარბუნარის პროცესი

ვენა, 5 ოქტ. კიშინიოვიდან მიღებული ცნობით, ბესარაბიელ აჯანყებულ გლეხების პროცესზე სასამართლო იძულებული გახდა დაედასტურებია, რომ ბრალდებულთა ჩვენებები, რომლებიც წარმოდგენილია ბრალდების დამამტკიცებელ მასალათ, შედეგია დაპატიმრებულთა წამების.

სასამართლომ დამცველთა ზეგავლენით განაცხადა, რომ მასალა, წარმოდგენილი ბრალდების დასამტკიცებლად, არ არის დასაბუთებული და დაადგინა განაგრძოს პროცესი იმ ჩვენებათა მიხედვით, რომლითაც მასცემენ სასამართლოს.

მთლიანობის წინააღმდეგ

ამსტერდამის ინტერნაციონალი და ინგლის-საბჭოთა კომიტეტი

ლონდონი, 5 ოქტ. „ტაიმს"-ი და „მანჩესტერ-გარდიენ" აქვეყნებენ ამსტერდამის ინტერნაციონალის მოწოდებას ინგლის-საბჭოთა სათათბირო კომიტეტის დეკლარაციის გამო და წინასწარმეტყველობენ, რომ გენერალურ საბჭოს ამ „ბრმა თანამშრომლობას" საბჭოთა პროფკავშირებთან ბოლო მოეღება დეკემბერში ამსტერდამის ინტერნაციონალის ალმასკომის და გენერალურ საბჭოს სხდომაზე.

როგორც გადმოგვცემენ, ამ სხდომაზე ტომასი გამოვა განცხადებით, რომელშიაც მოიყვანს ლოზოვსკის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „კავშირი რეფორმისტებსა და კომუნისტებს შორის შეუძლებელია, შესაძლებელია მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა".

ვინ იცავს ინგლისის პროლეტარიატის ინტერესებს

ინგლისის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ლონდონი. 5 ოქტ. ინგლისის კომ. პარტიის ცეკამ გამოუშვა მოწოდება, რომელიც აღნიშნავს, რომ ლივერპულის ყრილობის დადგენილებები ვერ არყევენ კომპარტიის მდგომარეობას, მაგრამ ზიანს აყენებს საერთოდ მუშათა კლასს, აქეზებს რა კაპიტალის შემოტევისათვის.

ცეკა მოუწოდებს პარტიას განაგრძოს ბრძოლა პროფკავშირებიდან კომუნისტების გამორიცხვის წინააღმდეგ და გააღრმავოს პროფკავშირთა მუშაობა.

ლივერპულის ფაშისტების მოხალისე პოლიცია

ლონდონი. 5 ოქტ. ლივერპულის ფაშისტებმა განაცხადეს, რომ ისინი ადგენენ მოხალისე პოლიციის განსაკუთრებულ რაზმს.

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მდივანმა ჯეკ ხეისმა ამის გამო სასტიკი პროტესტით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს და მოითხოვა დაუყოვნებლივ სათანადო გამოძიების მოხდენა.

„მომარაგების დაცვის ორგანიზაცია"

ლონდონი. 5 ოქტ. ლივერპულში „მომარაგების დაცვის ორგანიზაციის" (საპოლიციო და სტრეიკბრეხერო დანიშნულების ბურჟუაზიული ორგანიზაცია) განყოფილების დაარსების გამო, შინაგან საქმეთა მინისტრი ჯონსონ ხიქსი გამოვიდა ლივერპულში სიტყვით, რომელშიაც განაცხადა, რომ, მიუხედავათ მუშათა პარტიის კონფერენციის უკანასკნელი დადგენილებებისა, მას არ შეუძლია გამოარკვიოს, თუ როგორი პოზიცია უჭირავთ მაკდონალდს და მუშათა პარტიას, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავათ რიცხვობრივ სიმცირისა, ინგლისის კომპარტია მაინც ძლიერია და გავლენიანი. „მოსკოვის პროპაგანდა", ხიქსის აზრით, მიმართულია პირდაპირ ინგლისის წინააღმდეგ. ბრძოლა უკიდურესი ელემენტების წინააღმდეგ ძნელი ხდება, რადგანაც ამ ელემენტებს, როგორც ინგლისის ქვეშევრდომთ, აქვთ პოლიტიკური მუშაობის უფლება, სანამ არ გადალახავენ იმ ვიწრო ხაზს, რომელიც ჰყოფს კონსტიტუციონურ მუშაობას არაკონსტიტუციონურისაგან.

ხიქსმა იმედი გამოსთქვა, რომ საზოგადოებრივი აზრი მისცემს მთავრობას უფლებებს, რომელიც აუცილებელია კომუნისტურ საფრთხესთან ბრძოლისათვის.

შეეხო რა „მომარაგების დაცვის ორგანიზაციას", ხიქსმა განაცხადა, რომ საზოგადოებას აქვს უფლება თავი დაიცვას საყოველთაო გაფიცვისაგან. მთავრობამ უკვე შეიმუშავა მოქმედების სათანადო გეგმა. მთავრობამ, ხიქსის სიტყვით, არ გამოაქვეყნა მოწოდება ამ მიზნისათვის 500.000 მოხალისეს გამოცხადების შესახებ, ვინაიდან მან იცის, რომ საჭიროების დროს არ დაიშურებს სამსახურს 2 და 3 მილიონი მოხალისეც.

ხიქსმა დასძინა, რომ ის ნებას არ მისცემს „მომარაგების დაცვის ორგანიზაციას" იქონიოს სამხედრო წესდება, მაგრამ მისი მხრით სიბრიყვე იქნებოდა, რომ მთავრობის სახელით უარი ეთქვა დახმარებაზე იმ ორგანიზაციისათვის, რომელსაც განზრახული აქვს შეადგინოს სიები სპეციალურ პოლიციელების, ინჟინერების და სხვა ტრანსპორტზე მომუშავე პირებისა, რომლებიც იმუშავებენ საყოველთაო გაფიცვის დროს.

მაკდონალდი „მომარაგების დაცვის ორგანიზაციის" წინააღმდეგ.

ლონდონი, 5 ოქტ. მაკდონალდმა გამოაქვეყნა გაზეთ „ტაიმს"-ში პროტესტი იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო აქეზებს „მომარაგების დაცვის ორგანიზაციას".

ინგლისის კონსერვატორების კონფერენცია

ლონდონი, 5 ოქტ. კონსერვატიული პრესა აქვეყნებს რეზოლიუციებს, რომლებიც მიღებულ იქნენ კონსერვატიული პარტიის კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება პარასკევს. რეზოლიუცია მოითხოვს კანონის შემოღებას კომუნისტური აგიტაციის წინააღმდეგ. ალბად, ბალდვინი გამოვა განცხადებით, რომ მთავრობა მზათ არის ჩააქროს ყოველივე „უკანონობა"

ომი მაროკოში

საფრანგეთის ჯარების იერიშები

პარიზი, 6 ოქტ. ჰავასის სააგენტოს ატყობინებენ ფეციდან, რომ საფრანგეთის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას, დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს.

319 ოჯახმა მორჩილება გამოაცხადა და დაბრუნდა სოფლებში.

ესტონეთში

პუსტას გადადგომა

რეველი, 6 ოქტ. ესტონეთის სახელმწიფო კრებამ მიიღო პუსტას გადადგომა.

პოლონეთში

არეულობა ლომჟინის სატუსაღოში.

ვარშავა, 5 ოქტ. ლომჟინის სატუსაღოში მძიმე მდგომარეობის გამო კიდევ იფეთქა არეულობამ სისხლის სამართლის ტუსაღებს შორის.

პოლიტიკურების სიმშილობა ლვოვის სატუსაღოში.

ვარშავა, 5 ოქტ. მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობის გამო პოლიტიკურ ტუსაღებმა ლვოვის სატუსაღოში კვლავ გამოაცხადეს სიმშილობა.

ავსტრიელ მეღითონეების გაფიცვა

ვენა, 5 ოქტ. ავსტრიელ მეღითონეების გაფიცვა გრძელდება. დათხოვნილ გაფიცულთა რაოდენობა 10,000-დე აღწევს.

რა ხდება უცხოეთში.

იაპონია

კანონი პროფმოძრაობის შესახებ

პროფკავშირები იაპონიაში შესამჩნევათ გაძლიერდენ უკანასკნელი წლების განმავლობაში. ისინი ამჟამად აერთიანებენ 200 ათასამდე მუშას. იაპონიაში არსებულ კანონმდებლობის მიხედვით, პროფკავშირები ფაქტიურად არალეგალურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. იაპონიის მთავრობამ განიზრახა პროფკავშირების ლეგალიზაცია. ამით მას სურს ორი კურდღელის მოკვლა: ფაქტიურად პროფკავშირების მოქცევა ადმინისტრაციის კონტროლქვეშ და პროფკავშირების ლეგალიზაციით მუშათა მასების ბრძოლის თავიდან აცილება.

იაპონიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი კანონი ამ განზრახვას ძლიერ მოხერხებულათ ანხორციელებს.

საკმაოა რამდენიმე მუხლის მოყვანა ამ კანონიდან:

1. „მუშათა კავშირის" ქვეშ კანონი გულისხმობს ისეთ ორგანიზაციას ან საზოგადოებას, რომელშიც შედის არა ნაკლებ ათი მუშისა და რომელიც მიზნად ისახავს შრომის პირობების დაცვასა და გაუმჯობესებას. ზემოთაღნიშნულ მიზანს გარდა, მუშათა კავშირს შეუძლია იზრუნოს თავისი წევრების კულტურული განვითარებისათვის და საერთო ინტერესების დაცვისათვის.

მუხლი მეორე. მუშათა კავშირის დაარსების შესახებ უნდა ეცნობოს პროვინციის გუბერნატორს და მასვე უნდა გადაეცეს განსახილველად კავშირის წესდება. გუბერნატორს უნდა ეცნობოს აგრეთვე წესდებაში შეტანილ ყოველგვარი ცვლილების შესახებ.

მუხლი 15-ე. თუ კავშირის მიერ მიღებული რეზოლიუცია ეწინააღმდეგება კანონს, გუბერნატორს შეუძლია მისი გაუქმება.

მუხლი 16-ე. თუ კავშირის წესდება ეწინააღმდეგება კანონს, გუბერნატორს შეუძლია გასცეს ბრძანება ამ წესდების გაუქმების შესახებ.

ასეთია ამ კანონის მნიშვნელოვანი მუხლები. ადვილი წარმოსადგენია თუ როგორ „შესძლებს" მუშათა ინტერების დაცვას პროფკავშირი, რომლის თითეული გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია ადგილობრივ გუბერნატორს.

და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ წრეებს ეს კანონი მეტად „პროგრესიულათ" მიაჩნიათ და მოითხოვენ, რათა იგი არ გავრცელდეს მუშების მთელ რიგ კატეგორიებზე (ასე, მაგალითად, სამხედრო და საზღვაო სამინისტრო მოითხოვს, რომ კანონი არ გავრცელდეს სახელმწიფო დაწესებულებებში და წარმოებებში მომუშავეებზე; მიწათმოქმედების სამინისტრო კი მოითხოვს, რომ კანონი არ გავრცელდეს სოფლათ დაქირავებულ მუშა ხელზე), კანონიდან რჩება მხოლოდ მისი პოლიციური ნაწილი—ადმინისტრაციის კონტროლი პროფკავშირებზე, იაპონიის მუშათა კლასს მოუხდება თავისი არალეგალური პროფორგანიზაციების შენარჩუნება და შეურიგებელი ბრძოლის წარმოება მემამულეების მთავრობასთან.

სამხრეთ-ამერიკა

ალბერ ტომას მოგზაურობა

ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს დირექტორმა „სოციალისტმა" ალბერტ ტომამ ამ რამდენიმე ხნის წინათ იმოგზაურა სამხრეთ-ამერიკაში. მან ინახულა ბრაზილია, ურაგვაი, არგენტინა და ჩილი. მას ყველგან დიდის ზეიმით ხვდებოდენ... პრეზიდენტები, მთავრობის წევრები. მას დელეგაციებს უგზავნიდენ და ბანკეტებს უმართავდენ... სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თუ ალბერ ტომა და მისი მასპინძლები ასე მხიარულათ ატარებდენ დროს, მუშათა ორგანიზაციების მიმართ ამ „სოციალისტის" მოგზაურობამ საშინელი რეპრესიები გამოიწვია.

ბრაზილიაში მაგალითად დახურეს კომუნისტური ორგანოები „კლიას ოპერრაია" („მუშათა კლასი"), „ვოც კომუნისტა" („კომუნისტური ხმა") და „ო სოლიდარიო" („სოლიდარობა"), რომლებმაც ალბერ ტომას მუშათა კლასის მოღალატე უწოდეს. მრავალი კომუნისტი დააპატიმრეს, საერთოდ რეპრესიები გაძლიერდა.

ჩილეში, სადაც კომუნისტური ორგანიზაცია საკმაოდ ძლიერია, ალბერ ტომას არც ერთი მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელი არ შეხვედრია. სამაგიეროდ „ვაჭარ-მრეწველთა კავშირმა" დიდი ბანკეტი გაუმართა მას.

არგენტინაში ტომას შეხვდენ მხოლოდ ზოგიერთი პროფორგანიზაციების წარმომადგენლები, კომუნისტურმა პრესამ ტომას წინააღმდეგ მთელი რიგი წერილები მოათავსა.

ტომას ამ მოგზაურობის დროს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია რეაქციის გაძლიერება სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებში და აგრეთვე შეერთებული შტატების იმპერიალიზმის იერიშების გაძლიერება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ნაღმოსანის „კალაკრიას" ამოღება

ნოვოროსიისკი, 5 ოქტ. 4 ოქტომბერს ამოღებული იქნა ნაღმოსანი „კალაკრია". ნაღმოსანი შეყვანილი იქნა ნოვოროსიისკის ნავთსადგურში.

ნაღმოსანი ამოიღო გემმა „წითელმა ყუბანელმა".

„კალაკრია"—რუსეთის დიდი ნაღმოსანი დაძირული იყო 1918 წელს.

მოსავლის დღისათვის

მოსკოვი, 6 ოქტ. მიწა-ტყის მუშაკთა პროფკავშირის ცეკამ მიმართა ადგილობრივ ორგანოებს წინადადებით მონაწილეობა მიაღებიონ სოფლის დაქირავებულ მუშებს მოსავლის დღის ჩატარებაში.

მოსავლის დღის ჩატარების დროს ხაზი უნდა გაესვას დაქირავებულ შრომის მნიშვნელობას. აგრონომიულ პერსონალმა და სხვა სპეციალისტებმა უნდა აღნიშნონ კულტურულ მეურნეობათა სამეურნეო მიღწევანი. დაქირავებული მუშები მონაწილეობას უნდა იღებდენ სათემო სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობაში და საბჭოთა მეურნეობებში ექსკურსიების მოწყობაში და სხვ.

პროფკავშირთა უჯრედებმა უნდა გამოჰყონ მოსავლის დღესასწაულის მოსაწყობად თავიანთი წარმომადგენლები.

მოსავლის დღესასწაული უნდა გაიმართოს სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დასრულების შემდეგ ადგილობრივ პირობების მიხედვით.

კატერის დაღუპვა

ლენინგრადი, 6 ოქტ. 4 ოქტომბერს სამუქსირო კატერი „კომანდორი", რომელიც გავიდა ზღვაში საზღვარ-გარეთელი გემის შესახვედრათ, დაიღუპა.

დაიღუპენ ლოცმანი ევდოკიმოვი და საბაჟოს ორი მოსამსახურე. კომანდა გადარჩენილია.

გლეხკომების ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 6 ოქტ. 5 ოქტომბერს გაიხსნა საურთიერთო დახმარების გლეხთა კომიტეტების ცეკას პლენუმი.

ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ ეგროგანოვმა თავის მოხსენებაში სთქვა: „საჭიროა მკაცრი ანგარიშების წარმოება, ვინაიდან გლეხს, რომელიც იხდის თუნდაც ერთ კაპეიკს, სურს იცოდეს როგორ იხარჯება იგი. გლეხკომებში გაუქმებული უნდა იქნას დანიშვნის და მიელინების წესი. უნდა ხდებოდეს ამ კომიტეტის არჩევნები.

პურის პროდუქტების დამზადება

მოსკოვი, 6 ოქტომბერი. 25 დღის განმავლობაში დამზადებულია 70 მილიონი ფუთი პური. ამრიგად შესრულებულია სექტემბრის გეგმის 70 პროცენტი.

კამპანიის დაწყებიდან 25 სექტემბრამდე დამზადებულია 141 მილიონი ფუთი პური.

აღმოსავლეთის რაიონებში პურის ფასი ცოტათი იზრდება, მაშინ როდესაც სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში ფასები კლებულობს.

პურის მოწოდება ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 6 ოქტ. შინა ვაჭრობის სახალხო კომისარმა ადმინისტრატიულ საფინანსო კომისიას წარუდგინა განსახილველად მთელი რიგი ღონისძიებათა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში 1925—26 წლის პურის კამპანიის ჩასატარებლად. აკუთვნებს რა ამიერ-კავკასიას მომხმარებელ რაიონებს, შინავაჭრობის სახ. კომისარიატი განსაზღვრავს ამიერ-კავკასიაში შესატან პურის რაოდენობას და პურის გადაზიდვის ვადას. შინავაჭრობის სახ. კომისარიატი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასიაში გარდა მსხვილ სამომხმარებლო ცენტრებისა და ნავთის სამრეწველოებისა, შედის ბამბის რაიონების ნაწილიც, რომლის განვითარება მჭიდროთაა, დაკავშირებული პურის თავის დროზე მიწოდებასთან.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია

წარმოებების დათვალიერება

მინსკი, 6 ოქტომბერი. 4 ოქტომბერს ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა მინსკის წარმოება-დაწესებულებანი. დელეგაციამ ინახულა წითელ-არმიელთა ყაზარმები და აგრეთვე სახლი, რომელშიაც 1898 წელს გაიმართა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობა.

ბელორუსიის ცეკაში

საღამოს გაიმართა ბელორუსიის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სხდომა, რომელსაც დაესწრენ ჩეხო-სლოვაკიელი სტუმრები და აგრეთვე ბელორუსიის კომპარტიის ცეკას, მთავრობის, სხვადასხვა ორგანიზაციების და წარმოებათა წარმომადგენლები.

დელეგაციის შთაბეჭდილებები

საბჭოთა კავშირში მიღებული პირველი შთაბეჭდილებანი დელეგაციამ გამოსთქვა განსაკუთრებულ დეკლარაციაში, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის მუშებისადმი. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ შეხვედრამ და ყველაფერმა, რაც მათ ნახეს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, განსაკუთრებით, არა კომუნისტებზე. დელეგატები აღუთქვამენ საბჭოთა კავშირის მუშებს, რომ ყოველ ძალ-ღონეს იხმარენ ერთიან პროლეტარულ ფრონტის შესადგენათ.

ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია ბელორუსიის ცაკის თავმჯდომარესთან

მინსკი, 6 ოქტ. 5 ოქტომბერს ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაციამ ინახულა ბელორუსიის ცაკის თავმჯდომარე ჩერვიაკოვი.

მიესალმა რა ჩერვიაკოვს, დელეგაციამ განაცხადა: ჩვენ უკვე გვაქვს საშუალება ერთგვარი ჯამი გაუკეთოთ ჩვენს მოგზაურობას საბჭოთა კავშირში. ჩვენი საერთო აზრია, რომ ბურჟუაზიული პრესის ყველა ცნობები საბჭოთა კავშირის შესახებ—მოგონილი ჭორებია. ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ წარმოადგენს კომუნისტების დიქტატურას, არამედ მას მხარს უჭერენ ყველა მუშები და გლეხები.

შემდეგ დელეგატებმა ჩერვიაკოვს მისცეს შეკითხვები საბჭოთა არჩევნების სისტემის შესახებ; მათ ძალიან მოეწონათ ის გარემოება, რომ საარჩევნო უფლება ენიჭებათ მხოლოდ მშრომელებს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

სასოფლო-სამეურნეო სკოლა

ბათომი, 5 ოქტომბერი. აჭარისტანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასცა ჭოროხის ალმასკომს სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის ახალშენის ხეხილის სანერგეს ნაწილი.

ბარქის და ნიგოზის გატანა

ბათომი, 6 ოქტ. ზაკსოიუზის ბათომის განყოფილების სახელზე უკვე მოდის ნახიჩევანის მხარიდან ბარქის და ნიგოზის დიდი პარტიები უცხოეთში გასაზიდათ.

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკი

ბათომი, 6 ოქტ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბათომის განყოფილება გადაკეთდა აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკად. აქციონერებად შევიდენ: აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭო, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი და აჭარისტანის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი.

ა. წ. მარტიდან 1 ოქტომბრამდე ბანკმა გასცა სესხად 134,591 მანეთი. აქედან საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობებს—24,000 მანეთი, მუშა საქონლის შესაძენად—25,000 მ., მანდარინის კულტურის განვითარებისათვის—37,000 მან., ჩაის საქმისათვის—21,350 მან., სათესლე სესხისათვის—9,500 მ., მელიორაციისათვის—8,000 მან., მეფუტკრეობისათვის—3,000 მან. და სხვ.

მომავალი საბიუჯეტო წლიდან მთავარი ყურადღება მიექცევა სესხის გაცემას მეთამბაქოეობისათვის, ჩაის, ლიმონის კულტურის განვითარებისათვის, გლეხობისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიწოდებისათვის და სხვ.

ბათომის ბოტანიკური ბაღი

ბათომი, 6 ოქტომბერი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ ბათომის ბოტანიკური ბაღი სცნო ერთ-ერთ მთავარ სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებად საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობისათვის ნედლეულის დამზადების და ტროპიკულ კულტურების გაშენების მხრივ. ყოველწლიურად ცენტრი გადასდებს სპეციალურ თანხებს ბაღის მუშაობის საწარმოებლად. ბაღი უზრუნველყოფილი იქნება ცენტრის მიერ მაღალ კვალიფიციურ მუშა ხელით. შტატს გარეშე გადადებულ იქნა 15,000 მანეთი, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეზინის, ბროშკის, სამკურნალო მცენარეულობას და სხვ. კულტურებს.

მანუფაქტურა ლოძიდან

ბათომი. 6 ოქტ. საკავშირო საფეიქრო სინდიკატის ბათომის განყოფილებამ მიიღო ორი ვაგონი მანუფაქტურა ლოძიდან.

ტროპიკული მალარია შემცირდა

ბათომი. 6 ოქტ. ჯანსახკომის ცნობით, ტროპიკული მალარიით დაავადმყოფების შემთხვევები აჭარაში შემცირდა 55 პროცენტით.

წყალსადენი ქედას მაზრაში

ქედა. 6 ოქტ. დამთავრდა მუშაობა წყალსადენის გასაყვანად ქედაში და სოფელ არდმანისში. წყალსადენი უკვე მუშაობს.

აზერბეიჯანი

მოსავლის დღესასწაული

ბაქო, 6 ოქტ. აზერბეიჯანში დაიწყო მოსავლის დღესასწაული. მონაწილეობას იღებენ პარტიული ორგანიზაციები, [illegible] განყოფილებები, პროფკავშირები, კომკავშირი პიონერები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

ყუბაში გამართულ მიტინგის შემდეგ ნაჩვენები იქნა სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები.

დღესასწაულის გამო „ბაკინსკი რაბოჩი" სწერს, რომ მიმდინარე წლის მოსავლის ციფრები ამტკიცებს, რომ აზერბეიჯანის გლეხობა ძალიან ეტანება ძვირფას ტეხნიკურ კულტურის მოყვანას. თვალსაჩინოთ გაიზარდა ბამბის და თამბაქოს მოსავალი. ძალიან განვითარდა მეაბრეშუმეობაც.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აზერბეიჯანის გლეხი ფართოდ იყენებს მიწის დასამუშავებლათ გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

გლეხთა საავადმყოფო

ბაქო, 6 ოქტ. ბაქოს ერთ-ერთი საავადმყოფო დანიშნულია მხოლოდ და მხოლოდ სოფლიდან ჩამოსულ გლეხებისათვის.

ფარმაცევტიული ტეხნიკუმი

ბაქო, 6 ოქტ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი ხსნის ფარმაცევტიულ ტეხნიკუმს. მეცადინეობა დაიწყება 15 ნოემბერს.

იაპონიის საელჩოს მდივანი ბაქოში

ბაქო, 6 ოქტომბერი. იაპონიის საელჩოს მდივანმა „აზნავთის" ინჟინერების თანხლებით დაათვალიერა ნავთის სამრეწველოები: ბიბი-ეიბათი, სურახანი და სხვ.

შემდეგ სასაკიმ დაათვალიერა მუშათა უბანი და ნავთის საქაჩავი ქარხნები.

ა | კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სასაკიმ განაცხადა, რომ ის მეორეთ არის (პირველად ის ყოფილა 1909 წელს) ბაქოში და ხედავს, რომ დღეს სამრეწველოები ძალიან გაფართოებულა და ნავთის ამოსაღები ტეხნიკა განვითარებულა. ბაქოს ნავთის მრეწველობას სასაკის სიტყვით დიდი მომავალი აქვს.

სასაკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე მუშათა უბნებმა.

სასაკი გაემგზავრა მოსკოვში.

ავტო-ტრანსპორტი ამიერ-კავკასიაში

ამ ჟამად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ითვლება 1.213 მანქანა (548 მსუბუქი ავტომობილი და 602 ტვირთსაზიდი), რომელთა საერთო ტონაჟი 1.357 ტონს უდრის (თითეულ ტონი 60 ფუთია).

იმ მანქანებით, რომელთა საერთო ტონაჟი 1.000 უდრის, რეისების საშუალო დონის დროს, შეიძლება გადატანილ იქნეს 2 მილიონი ფუთი ტვირთი, რაც შეადგენს ა | კ. რკინისგზების მთელი ტვირთბრუნვის 25 პროცენტზე ნაკლებს.

სახალხო მეურნეობის ახალორძინებლად შედგენილი გეგმის მიხედვით, ავტოტრანსპორტის განვითარება მოითხოვს: კაპიტალურ რემონტს, თანხების გაღებას 4 კაპ. პარკების გასადიდებლად, მანქანების სარემონტოდ და საამორტიზაციოდ 4 საპერსპექტივო ხუთწლედის განმავლობაში.

თუ ანგარიშში იქნება მიღებული მანქანების ზრდის პროცენტი, არსებული ტონაჟის რაოდენობა, თვითეული მანქანის ღირებულება და სხვა, ამიერკავკასიაში ავტო-ტრანსპორტის განსავითარებლად საჭირო იქნება პირველ 5 წლედში 12.500.000 მანეთი, მეორე ხუთ-წლედში—18.982.200 მან., მესამეში—33.092.100 მან., ხოლო მეოთხე ხუთწლედში 63 431.000 მანეთი.

შემოსავალი მანქანების ექსპლოატაციისგან პირველი ხუთწლედისათვის ნავარაუდევია 4.422.000 მანეთი, მეორე ხუთწლედისათვის 7.776.900 მან., მესამისათვის—13.149.600 მანეთი, მეოთხე ხუთწლედისათვის 21.850.000 მანეთი.

გეგმით გათვალისწინებულია, რომ ახლომელ წლებში ავტოტრანსპორტის განვითარება და განმტკიცება იმ ფარგლებში, რომელიც განზრახული, ტვირთბრუნვის რაოდენობის მიხედვით შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღდგენილი იქნება გზები, გაძლიერებული იქნება მანქანების შემადგენლობა და ტვირთზიდვისაგან შემოსული წმინდა მოგება იქნება განსაზღვრული.

პირველი ხუთწლედში განზრახულია 928 მანქანის გასაღება, მეორე ხუთწლედში—1.418 მანქ., მესამეში 2.490 მანქ., მეოთხეში 4 .845 მანქანის.

იმ შემთხვევაში, თუ მანქანის ექსპლოატაციისგან მიღებული შემოსავალი მოხმარდება ავტოტრანსპორტის განვითარებას, ავტო-ტრანსპორტის განსავითარებლად საჭირო იქნება მაინც 89.621.000 მანეთის გაღება 20 წლის განმავლობაში.

კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ

(წერილი საფრანგეთიდან)

ქართველი მენშევიკები დიდი იმედებით უცდიდენ მეორე ინტერნაციონალის კონგრესს მარსელში. აქ იყო დასმული აღმოსავლეთ ევროპის საკითხი, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, რუსეთის საკითხი.

მენშევიკები ფიქრობდენ, რომ ამ ყრილობაზე ფართოდ დაისმებოდა, სავსებით ამოიწურებოდა და კატეგორიულად გადაიჭრებოდა საქართველოს საკითხიც.

მე არ ვიცი რას ფიქრობდა ამ კონგრესის შესახებ საბჭოთა საქართველოში მყოფი მენშევიკი, თუ ასეთი კიდევ არის იქ, აქ კი, ევროპაში, დაწყებული ჟორდანიასაგან და გათავებული ოსობი-ოტრიადჩიკამდე, ყველა სულგანაბული ელოდებოდა მისი მხსნელის და პატრონის—მეორე ინტერნაციონალის ყრილობას.

მენშევიკები ფიქრობდენ, რომ მეორე ინტერნაციონალის კონგრესი სასტიკად გააკრიტიკებდა საბჭოთა ხელისუფლებას და მესამე ინტერნაციონალს, და ქვეყანას ამცნობდა, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ საჭიროა მთელი სამყაროს დარაზმვა (რაღა თქმა უნდა, ბურჟუაზიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული) და მათ წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

და თუ ეს ასე მოხდებოდა, თუ მეორე ინტერნაციონალი ქართველ მენშევიკების დაირაზე აცეკვდებოდა, მაშინ პარიზს მიეცემოდა საშუალება კიდევ ახალი ილიუზიები გაესროლა საქართველოში, იქ არევდარევა შეეტანა, სამოქალაქო ომისათვის ახალ-ახალი ნაკვერცხალი მიეყარა, კიდევ სისხლი დაეღვარა და ყოველივე ამით ყოფილი მთავრობის არსებობს რაიმე აზრი გამოენახა.

მეორე ინტერნაციონალს,—აქ მე ვგულისხმობ ინტერნაციონალის ბელადებს და არა იმ მასსას, რომლის წარმომადგენელნიც ეს ლიდერები ჯერ-ჯერობით არიან—მართლაც რომ მეტი ჭკუა, გამჭრიახობა, შორსმჭვრეტელობა და ეშმაკობა არ გამოეჩინა, ისიც ისე მალე გამოეთხოვებოდა პროლეტარიატს, როგორც ეს დაემართათ ქართველ მენშევიკებს.

ამიტომ მეორე ინტერნაციონალი ვერ აჰყვებოდა ქართველ მენშევიკებს და უფრო ეშმაკურ პოლიტიკას დაადგა.

ბურჟუაზია ებრძვის ბოლშევიკებს, როგორც ნამდვილ სოციალისტებს. აქ დაპირისპირებულია ორი მიმართულება, ორი მსოფლმხედველობა, ორი ქვეყანა. ერთის გამარჯვება მეორის დამარცხებას ნიშნავს. გაიმარჯვებს საბჭოთა ხელისუფლება,—მე აქ მას განზრახ არ ვყოფ მესამე ინტერნაციონალისაგან,—დაემხობა ბურჟუაზია; გაიმარჯვებს შრომა, დამარცხდება კაპიტალი. ბურჟუაზიამ იცის, რომ შრომის ერთად-ერთი წარმომადგენელია საბჭოთა რუსეთი; შრომის დამარცხება მას უნდა, მაგრამ არ შეუძლია, თუ მას ამაში არ დაეხმარენ ევროპის მუშები, რომლებიც ჯერ-ჯერობით თავს იყრიან მეორე ინტერნაციონალში. ამიტომაც არის, რომ კონგრესის მუშაობას ასე ყურადღებით ეკიდოდა ბურჟუაზიული პრესა.

რა გზას უნდა დასდგომოდა მეორე ინტერნაციონალი.

ის ორ ცეცხლ შუა იმყოფებოდა: მიემხრობოდა ბურჟუაზიას და დაეხმარებოდა მას საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში, პროლეტარიატი მაშინვე დაინახავდა მთელ მის არსებას, მას ზურგს შეაქცევდა და მიაშურებდა მის ნამდვილ წარმომადგენელს—მე-3 ინტერნაციონალს. რაღა თქმა უნდა, ასეთი შიშით მეორე ინტერნაციონალი ქურქს ვერ გაიძრობდა, ბურჟუაზიას აშკარათ არ მიემხრობოდა და ეტყოდა: ჩვენ ვერ დაგეხმარებით, ჩვენ არ მოგცემთ უფლებას ებრძოლოთ რუსეთსო, რადგან პროლეტარიატი გამოერკვევა, ბურუსიდან გამოვა, მიხვდება, რომ შრომის ნამდვილი წარმომადგენელი სწორეთ მოსკოვში ყოფილა და იქითკენ გადიხრის.

და მეორე ინტერნაციონალიც ამჯობინებს „მემარცხენე" ფრაზებს. ეს მისთვის აუცილებელი შეიქნა. პროლეტარიატი აწვება მეორე ინტერნაციონალის ბელადებს; ის სულ უფრო და უფრო თხოულობს ბურჟუაზიასთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას და რუსეთთან დაახლოვებას, მასთან მორიგებას. ეს მიწოლა ისეთი მძლავრი და თვალსაჩინოა, რომ ბელადები იძულებულნი არიან მას ანგარიში გაუწიონ, თუ არ უნდათ, რომ სულ ერთიანად და უცბათ გაირიყონ.

ამ მიწოლამ გადამჭრელი როლი ითამაშა მარსელის კონგრესზეც. ამას ჩვენ უფრო ნათლად დავინახავთ, თუ გავიხსენებთ, რომ კონგრესზე საბჭოთა ხელისუფლებისადმი კეთილგანწყობილებას ქადაგებდნენ ინგლისის, გერმანიის და ავსტრიის დელეგატები.

და აი, მეორე ინტერნაციონალიც უწევს ანგარიშს პროლეტარიატის მოთხოვნილებას და ერთხმად ღებულობს საბჭოთა ხელისუფლებისადმი საერთოდ კეთილგანწყობილ რეზოლიუციას. ბევრი ეცადნენ ფრანგები, ბელგიელები, ქართველები, სომხები, ბულგარელები, სერბები, ესტონელები და სხ. შეტანილი ყოფილიყო რეზოლიუციაში საბჭოთა ხელისუფლების გაკიცხვა, მაგრამ ვერას გახდენ და ბოლოს მათაც მიიღეს რეზოლიუცია.

მაგრამ, რეზოლიუციაზე უფრო საინტერესოა კონგრესზე გამართული კამათი.

ავსტრიელი დელეგატი, ცნობილი ოტტო ბაუერი, სწორეთ ის ბაუერი, რომელსაც ირ. წერეთელი აქებს და ადიდებს ჟურნალ „ბრძოლა"-ში, შემდეგს ლაპარაკობს: „მეორე ინტერნაციონალმა არასოდეს მხარი არ უნდა დაუჭიროს ევროპის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას ბოლშევიკების წინააღმდეგ: 1) ვინაიდან ბოლშევიკები აღმოსავლეთში აწარმოებენ დიდს, საჭირო და სასარგებლო რევოლიუციონურ საქმეს, ამხედრებენ რა დამონავებულ ხალხებს ევროპის საწინააღმდეგოთ და 2) ვინაიდან ბოლშევიკები სოციალისტებია... ამისათვის სოციალისტებმა არამც თუ ხელი არ უნდა შეუშალონ ბოლშევიკებს, არამედ უნდა დაეხმარონ კიდეც. საჭიროა პროტესტი განვაცხადოთ და აგიტაცია გავსწიოთ, მაგრამ არა მოსკოვის წინააღმდეგ, არამედ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის და კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მშვიდობიანობას ემუქრება".

„მეორე საფრთხეს წარმოადგენს ევროპის დიდი სახელმწიფოების სურვილი გამოიყენონ ახლად წარმოშობილი პატარა სახელმწიფოები მათ მსოფლიო ქიდილში, როგორც ბრმა იარაღები. მეორე ინტერნაციონალი საჭიროთ სთვლის განაცხადოს, რომ ყოველგვარი პოლიტიკა, რომელიც კი იქნება მიმართული საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოთ, სასტიკ წინააღმდეგობის წააწყდება ინტერნაციონალში". ვსარგებლობ „პოსლედნიე ნოვოსტი"-ს კორესპონდენტის, ნემანოვის, ანგარიშებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ნემანოვიც და რედაქციაც ძლიერ გამწყრალი არიან, რომ ინტერნაციონალი ასე ლმობიერათ მოექცა ბოლშევიკებს. მე ეს ამონაწერი მოვიყვანე არა იმიტომ, რომ ის რაიმე პრინციპიალურ ღირებულებას წარმოადგენდეს მემარჯვენე ბელადების პირში, არამედ იმ მიზნით, რომ ყველასათვის აშკარა იყვეს, რომ ის იმედები და ილიუზიები, რომლებითაც „პარიზი" ოთხ წელიწადზე მეტია ჰკვებავს ქართველ ხალხს, ერთხელ და სამუდამოთ ჩამქრალათ უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, თუ შევადარებთ ამონაწერში გატარებულ დებულებებს იმ წერილებს, რომლებსაც პარიზი ათავსებს ჟურნალ-გაზეთებში და ბროშიურებში, ჩვენ ნათლად დავინახავთ სრულ წინააღმდეგობას მათში.

„ბრძოლის" პირველ ნომერში, მეთაურში, ჩვენ ვკითხულობთ: „სოციალიზმს მეტი საერთო აქვს ბურჟუაზიასთან, ვინემ ბოლშევიკებთან.

მეორე ინტერნაციონალი კი ოტტო ბაუერის სიტყვაში სულ საწინააღმდეგოს ამბობს.

ნ. ჟორდანია ბოლშევიკებს ბლანკისტებს, ტკაჩისტებს (ტკაჩევის მიმხრეები) და ანარქისტებს ეძახის, მეორე ინტერნაციონალი კი ამბობს—სოციალისტებიაო.

„ბრძოლის" მეთაური გვარწმუნებს, რომ „დასაძლევია ბოლშევიკური ხელისუფლება"-ო, მეორე ინტერნაციონალი ამბობს: ვინც საბჭოთა ხელისუფლებას შეებრძოლება, ჩვენთან ექნება საქმეო.

ნ. ჟორდანია ყველგან უპირდაპირებს „ევროპის სოციალიზმს" „რუსულ ბოლშევიზმს", ოტტო ბაუერი კი პირდაპირ სოციალისტებს უძახის ბოლშევიკებს; აგრეთვე მარტოვი „რუსულ ბოლშევიზმის" მაგიერ ხმარობს „მსოფლიო ბოლშევიზმს", გამოჩენილ მეცნიერს პ. ნოვგოროდცევს რომ ჰკითხოთ („საზოგადოებრივი იდეალი"), ნამდვილი და სწორი მარქსისტები ბოლშევიკებია, სოციალ-დემოკრატია კი მხოლოდ მარქსის სურათით კმაყოფილდებაო.

და აი მენშევიკმა აღარ იცის ვის დაუჯეროს.—ნოეს თუ სხვა „დიდ კაცებს".

დავანებოთ თავი ნოეს; მან იცის, რას ამბობს და რას აკეთებს. ეს არის მისი მსოფლმხედველობა.

ევ. გეგეჭკორსაც აქვს მისი „მსოფლმხედველობა". თუ არ გჯერათ იხილეთ „ბრძოლა".

ბოლშევიზმი თურმე „ბოროტი კარიკატურა" ყოფილა.

მარსელმა მართლაც საკარიკატურო საქმე დაგმართათ, ბატონებო!

კოვზი უკვე ნაცარში ჩაგივარდათ!

ქართველმა მშრომელმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ბურჟუაზია მის „დასახსნელად" ვერ მოვა, ევროპის პროლეტარიატმა კი აიძულა მეორე ინტერნაციონალი და საჯაროთ ხმამაღლა ათქმევინა მის ბელადებს მათთვის უჩვეულო რამეები, სახელდობრ, რომ ის არავის მისცემს უფლებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისას.

ამისათვის, რამდენიც არ უნდა ემუდაროს ქართველ მშრომელებს პარიზის შტაბი: კიდევ გაიღე სისხლიანი მსხვერპლი და დაიბრუნე ჩვენი ბატონ-პატრონობაო, მას მხოლოდ ერთი პასუხი უნდა ჰქონდეს: ჩვენ ძლიერ კარგათ ვგრძნობთ თავს, ჩვენ ჩავებით საერთო მუშაობაში და ჩვენს ბედს ჩვენ თვით ვჭედავთ!.

პარიზი — იგ. კარუხაშვილი.

კოოპერაცია

ცეკავშირში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება

ცეკავშირის სავაჭრო განყოფილება ამჟამად აწარმოებს შემდეგი პროდუქტების დამზადებას:

თხილი

დადებულია ხელშეკრულება კოოპერატივებთან თხილის მოწოდებაზე. სულ უნდა დამზადდეს დასავლეთ საქართველოს კოოპერატივების საშუალებით—103.000 ფუთი თხილი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში—50.000 ფუთი. აქედან უკვე გაყიდულია ცეკავშირის მიერ 60.000 ფუთი; არიან დანარჩენი პარტიის შემსყიდველებიც.

მატყლი

ამიერ-კავკასიის სავაჭრო კომისარიატისთვის ცეკავშირი ამზადებს 4.000 ფუთ შემოდგომის მატყლს. მატყლის შესაძენად ავანსები უკვე გადაეგზავნა კოოპერატივებს.

ჭაჭის არაყი

სახელმწიფო ღვინის ტრესტთან ამ დღეებში ხელმოწერილ იქნება ხელშეკრულება მისთვის ორ მილიონ გრადუს არაყის დამზადებაზე.

ჯაგარი და ბეწვეული. მოთხოვნილება ამ ნედლეულზე არის ამიერ-კავკასიის სავაჭრო კომისარიატისაგან, რომელთანაც ცეკავშირი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას სათანადო ხელშეკრულების დადებაზე.

ახალი კოოპერატივები

კოოპერატიულმა სამმართველომ დაამტკიცა წესდებები შემდეგი, ახალი კოოპერატიული ამხანაგობებისა:

ახუთის სასოფ. სამ. ამხ-ბა „იმედი"; მკერვალთა საწარმოო არტელი „კოკი"; ზუგდიდის სასოფ.-სამ. ამხ. „კომუნა"; ხონის შინა-მრეწველ ფეიქართა კოოპ. ამხ-ბა „დარაჯი"; ფშავის სასოფ.-სამ. ამხ. „შტორი"; დასავლეთ საქართველოს მესაქონლეთა ამხ. „მეჯოგე"; ოზურგეთის რაიონის შინა-მრეწველ-ხელოსანთა კოოპ. ამხ. „მშრომელთა გზა". ყველა ეს კოოპერატივები შედიან წარმოკავშირის სისტემაში.

ამასთანავე სამმართველომ დაამტკიცა მთლიანი სამომხმარებლო კურსების წესდება და სურების კოოპერატივისა. ეს კოოპერატივები ან ცეკავშირის სისტემაში.

პარტიული ცხოვრება

უჯრედების მუშაობის შესახებ

შემოდგომისა და ზამთრის პერიოდი ეს ის პერიოდია, როდესაც უჯრედებში განსაკუთრებით უნდა გაცხოველდეს მუშაობა.

არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დღეს-დღეობით ჩვენი უჯრედები ვერ სდგანან სათანადო სიმაღლეზე. სხვათა შორის ეს გამოირკვა მთელი რიგ პარტმუშაკების თათბირებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ უკანასკნელ ხანებში. და აი სწორედ ეხლა, როდესაც ჩვენს უჯრედებში მუშაობა უნდა გაცხოველდეს, საკითხი ისმის, თუ რა გზით და რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ეს მუშაობა.

ამხ. ს. ორჯონიკიძემ თავის მოხსენებაში რ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტ. პლენუმზე აღნიშნა, რომ უჯრედებში ფაბრიკა-ქარხნების შინაური ცხოვრების საკითხები განზედ მიტოვებული და იკითხება მოხსენებები მხოლოდ მაღალ მატერიებზე. ამ გარემოებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ეს გადახრა უთუოდ უნდა იქნას დაძლეული.

დღეს ჩვენი მტრისა და მოყვრისათვისაც აშკარაა, რომ ჩვენი წარმოება არაჩვეულებრივი ნაბიჯებით წინ მიდის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ წარმოებას არავითარი ნაკლი არ ახასიათებს. ხოლო ვინ უნდა გამოასწოროს წარმოებაში ესა თუ ის ნაკლი, თუ ამას გაცნობილი არ არის უჯრედი, რომელიც ყოველმხრივ უნდა ხელმძღვანელობდეს წარმოებას? უჯრედის ყოველი წევრი ვალდებულია იცოდეს თავისი წარმოების ნაკლი და მისი მიზეზები. პარტიული ამხანაგი უპარტიო ამხანაგის შეკითხვაზე, თუ რატომ არის ესა თუ ის ნაკლი, მზად უნდა იყოს ამომწურავი პასუხის მისაცემად.

ასეთი გზით ჩვენ კიდევ უფრო მეტად შევძლებთ პარტიულ და უპარტიოთა მასებს შორის დავამყაროთ მჭიდრო კავშირი.

სწორედ ამიტომაა საჭირო უჯრედის კრებებზე საწარმოო ხასიათის საკითხების დასმა და მათი შესწავლა. ასე რომ უჯრედის თვითეულ წევრს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს წარმოების არსებულ მდგომარეობაზე და მის პერსპექტივაზე.

ამ ამოცანასთან დაკავშირებით არა ნაკლები მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უჯრედის სხდომებზე პროფკავშირთა მუშაობის, მისი მდგომარეობის შესწავლის საკითხებსაც. ძალიან იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ამა თუ იმ კავშირის გამგეობას გაეკეთებინოს მოხსენება უჯრედზე თავის მოღვაწეობის შესახებ. ამ არანორმალურ მოვლენასაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე ეს ნაკლი, რომლებიც აქ აღვნიშნეთ, ამ უახლოეს დროში პარტუჯრედების მიერ სავსებით დაძლეული იქნება.

გ. ბუჯიაშვილი.

მეტი ყურადღება კედლის გაზეთებს

დღევანდელ პერიოდში კედლის გაზეთების მნიშვნელობა ერთობ დიდია. კედლის გაზეთი ხელს უწყობს წარმოების და შრომის ნაყოფიერების ზრდას, პარტიული ორგანიზაციის და უპარტიო მასის კავშირის გამტკიცებას. ამასთანავე ერთად კედლის გაზეთი ამაღლებს ორგანიზაციის პოლიტიკურ-კულტურულ განვითარების დონესაც.

კედლის გაზეთები ჩვენში გამოდიან ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებებში, როგორც ქალაქად ისე სოფლად. ამ ბოლო დროს ამ კედლის გაზეთების გამოცემის საქმეც ფართო ხასიათს ღებულობს რაც გვავალებს, რომ ამას მომავალში უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ.

როგორც ვიცით, მეთოთხმეტე პარტიულმა კონფერენციამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და მიღებულ რეზოლიუციაში კიდეც აღნიშნა: „გაძლიერებულ უნდა იქნას ხელმძღვანელობა კედლის გაზეთებისათვის, რომელთაც ეხლა უდიდესი მნიშვნელობა აქვთ“. ჯერ-ჯერობით ჩვენი პარტიული ორგანოების მიერ, სამწუხაროდ, როგორც ქალაქში, ისე სოფლად კედლის გაზეთებზე თითქმის არავითარი ხელმძღვანელობა არ არის გაწეული. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თვით ჩვენი აქტიური პარტწევრებიც საკმაოდ არ არიან გარკვეული კედლის გაზეთის მიზანსა და დანიშნულებაში და მეტი წილი კედლის გაზეთებისა, რომელიც ჩვენში გამოდის, სათანადო დონეზე არ არის დაყენებული.

ხშირი მოვლენაა, როდესაც წარმოება-დაწესებულების კედლის გაზეთი იუმორისტულ ხასიათს ატარებს, ან და მასში უმეტესად იწერება საერთაშორისო ხასიათის წერილები და ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივი საჭირ-ბოროტო საკითხების გაშუქებას. ასეთი მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორებული უნდა იყოს.

პრაქტიკულად რა ზომები უნდა მივიღოთ კედლის გაზეთების თავის დანიშნულების დონეზე დასაყენებლად? რადგანაც ამ მხრივ გამოცდილება ადგილებზე მეტად მცირეა, ამიტომ აუცილებლად უნდა მოეწყოს როგორც მაზრის, ისე რაიონის მასშტაბით, კედლის გაზეთების რედაქტორების თათბირები. ამ თათბირებს უნდა მიეცეს სისტემატიური ხასიათი, რათა მასზედ განხილული იქნას ადგილობრივად კედლის გაზეთების მდგომარეობის საკითხები და გამონახული შესაფერი ზომები ნაკლულევანებების გამოსასწორებლად.

გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივად კედლის გაზეთების გამოფენის მოწყობას, რასაც მაზრების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

ა. წ—ლი.

წერილები ადგილებიდან

ავჭალის წყალსადენის უჯრედი № 10

24 სექტ. ავჭალის წყალსადენის უჯრედში № 10 მოხდა ბიუროს გადარჩევა. კომუჯრედის მდივანის ამხ. ფანცულაიას მოხსენებიდან ბიუროს მუშაობის შესახებ სჩანს შემდეგი: წყალსადენის კომუჯრედი შესდგება 41 წევრისა და 15 კანდიდატისაგან; მათ შორის 42 ქართველია, 7 რუსი, 6 სომეხი და 1 თათარი; ურევია ერთი ქალი; სოციალურ მდგომარეობით 49 მუშაა და 7 მოსამსახურე.

ხუთი თვის განმავლობაში უჯრედის კრება შემდგარა 8-ჯერ. უჯრედიდან გამოყოფილი იყო სხვადასხვა კომისიები. სააგიტაციო საპროპაგანდო კომისია მუშაობდა ძალიან სუსტად, თითქმის არაფერი არ გაუკეთებია.

უჯრედს აქვს აღებული შეფობა სოფელ მამოკოდაზე.

საშეფო კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სწარმოებდა.

კომკავშირთან უჯრედს კარგი კავშირი აქვს, აგრეთვე წითელ ლაშქართანაც. ადმინისტრაციასთან კონფლიქტები არ ყოფილა, მხოლოდ გვყავს წითელი დირექტორი, რომელიც მუშებისაგან შორს დგას. უჯრედმა მოიწვია თავის კრებაზე მაგრამ არ გამოცხადდა, არც ერთხელ არ დასწრებია კრებებს.

ბოლო დროს რაიკომიდან ხელმძღვანელობა არ ყოფილა; მიზეზი იყო ხშირი გადაყვანა რაიკომის მდივნების. თუ ხანდახან გზავნიდენ ვინმეს, იგი სუსტად მომზადებული აღმოჩნდა.

უჯრედის ერთ-ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ მეტი წილი ამხანაგებისა პოლიტიკურად უცოდინარნი არიან.

საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ ბიუროს დიდი მუშაობა გაუწევია, რაც უჯრედმა თავის რეზოლიუციაში აღნიშნა. ახალი ბიუროს არჩევას ამხანაგები დიდი ყურადღებით და სიფრთხილით უდგებიან. არჩეული იქნენ ყველა თითქმის ახალი ამხანაგები, ცხრა კაცის შემადგენლობით.

კ. კ.

ლეჩხუმის სამპარტკომთან არსებული კომუჯრედი

ლეჩხუმის სამპარტკომთან არსებული კომუჯრედი აერთიანებს 19 წევრს და 12 კანდიდატს. უჯრედის უწინდელ მუშაობაში იყო დეფექტები, რომლის გამოსასწორებლად მიღებულ იქნა შესაფერისი ზომები.

ამას წინად უჯრედის სხდომაზე მოსმენილ იქნა ბიუროს მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ. სხდომაზე გამოირკვა მუშაობის ზოგიერთი მტკივანი მხარეები, როგორიცაა არის, ბიუროს წევრთა შორის მოვალეობათა არ განაწილება, წევრების დაგვიანება კრებებზე და სხვ. ყოველივე ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლად და მომავალში კომუჯრედის მუშაობის გაცხოველების მიზნით, რამოდენიმე ამხანაგს მიენდო კომუჯრედის სამთვიური მუშაობის გეგმის შედგენა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

კომუჯრედს ჰყავს გამოყოფილი პარტკორები, რომლებიც მოვალენი არიან სწერონ პარტიულ ყოფაცხოვრებაზე ჩვენს გაზეთში. მაგრამ ზოგიერთი ამხანაგები ამ საქმეს არ ეკიდებიან გულმოდგინეთ. მარტო ქაღალდზე გამოყოფა არ არის საკმარისი. შეიძლება რომელიმე პარტკორმა იფიქროს: რა ვსწეროთ.—როგორ თუ რა? ცოტაა ჩვენს სოფელში ისეთი ფაქტები, რომლებიც ყურადღების ღირსნი არიან?

პარტკორებმა პირნათლად უნდა შეასრულონ თავისი მოვალეობა.

პარტკორი ლაზრელი.

ახალი რკინიგზები საქართველოში

ჭიათურა-ახალსენაკის რკინიგზა

ოქტომბრის პირველს შესდგა ა.-კ. გზათა მიმოსვლის სახ. კომის. რწმუნებულთან არსებული ტეხნიკურ კომისიის თათბირი, რომელსაც დაესწრენ გზათა მიმოსვლის სახ. კომიტეტის და რკინისგზის სამმართველოს წარმომადგენელნი.

თათბირმა განიხილა ცნობილ მშენებლობის ინჟენერის ფლდის მიერ დამუშავებული პროექტი ფართელიანდაგიანი რკინის გზისა, რომელიც გაყვანილი უნდა იქნეს ჭიათურიდან ახალ-სენაკამდე. პროექტის მიხედვით რკინის გზა გაივლის ქ. ქუთაისზე. მთელი ხაზის გაყვანა წინასწარი ხარჯით დაჯდება 28 მილ. მანეთი.

ამასთანავე კომისიამ განიხილა მეორე პროექტი, რომლის მიხედვით ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინის გზის შტო გადაკეთებული უნდა იქნეს ფართელიანდაგიან გზად, რომელიც ზესტაფონის სადგურთან შეუერთდება ა.-კ. რკინის გზათა მთავარ ხაზს. ამ უკანასკნელ ვარიანტით რკინის გზის აგება ჯდება 14 მილიონი.

კომისიის წევრთა უმრავლესობა მხარი დაუჭირა უკანასკნელ პროექტს, რადგან სიიაფის გამო იგი უფრო ადვილად განსახორციელებელია.

კომისიის ზოგიერთი წევრები უპირატესობას აძლევენ პირველ პროექტს იმ მოსაზრებით, რომ მცირეოდენი მნიშვნელობის ცვლილებების პროექტში შეტანის შემდეგ, შესაძლებელი გახდება ხარჯთაღრიცხვის შემცირება, მეორეს მხრივ, პირველი პროექტით გათვალისწინებული მიმართულებით რკინისგზის გაყვანა ხელს არ შეუშლის შავი ქვის გადატვირთვას, ხოლო თუ არსებული შტოს გადაკეთება დაიწყო, აუცილებელი იქნება შავი ქვის გადაზიდვის შეჩერება. კომისიის წევრები აღნიშნავდენ აგრეთვე პირველი პროექტის კიდევ ერთ უპირატესობას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ამ ვარიანტით რკინისგზა გაივლის სოფელ ჩხარს ახლო მდებარე შავი ქვით მდიდარ მიდამოებში, რაც ერთი ორად ასწევს რკინისგზის ეკონომიურ მნიშვნელობას.

საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად

1925—26 წელში მთელ საქართველოში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად გადადებული იქნება 300,000 მანეთზე მეტი.

საქ. შრომის სახ. კომისარიატმა ადგილებზე საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად უკვე ეს თანხა გაანაწილა შემდეგნაირად:

თბილისის აღმასკომს—173 ათასი მან. აჭარას—34 ათასი, აფხაზეთის—15 ათასი, ქუთაისის სამაზრო აღმასკომს—20 ათასი, შორაპნის სამაზრო აღმასკომს—20 ათასი, ფოთის აღმასკომს—10 ათასი, სამტრედიის—10 ათასი, გორის—4 ათასი, ბორჯომის—5 ათასი, ხაშურის—4 ათასი, სენაკის—5 ათასი, ზუგდიდის—4 ათასი, ოზურგეთის—5 ათასი, რაჭის—4 ათასი, ზემო-სვანეთის—2500 მან. თელავის—4 ათასი, ბორჩალოს—4 ათასი, სამხრეთ-ოსეთს—4 ათასი, ახალქალაქის აღმასკომს—4 ათასი, ახალციხის—3 ათასი, ხონის—2500 მან., სიღნაღის—5 ათასი, ლეჩხუმის—4 ათასი, და დუშეთის სამაზრო აღმასკომს—4 ათასი მან.

თბ. საგზოს სექციებში

საფინანსო სექცია

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა თბილისის მაზრაში.

დღის წესრიგში იდგა თბილისის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა, რომლის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ტყავლაშვილმა.

მომხსენებელმა შეადარა გასული წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადიც წლევანდელს, და უპირატესად სცნო წლევანდელი გადასახადი, რომელიც თავისი რაოდენობით შარშანდელზე ნაკლებია. 1924—25 სამეურნეო წელს თბილისის მაზრაზე შეწერილი იყო 589.357 მან. 60 კ. მიმდინარე წელს კი შეწერილია 246.515 მან. 36 კ. გასულ წელს ყოველ დესეტინა სახნავ მიწაზე მოდიოდა 3 მან. 51 კ. წელს კი—1 მან. 66 კ. ყოველ კომლზე გასულ წელს შეწერილი იყო საშუალოდ 21 მან. 7 კ. წელს კი 8 მან. 14 კაპ. შარშან მოდიოდა ყოველ სულზე 4 მან. 37 კ. წელს—1 მან. 70 კ. საერთოდ წელს გადასახადის ნორმა შემცირებულია 58 პროცენტით, რაც სახელმწიფოს ეკონომიური მოღონიერების დამამტკიცებელია.

ამჟამად მაზრაში წარმატებით იკრიბება სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. განსაკუთრებით დიდ წარმატებით მიმდინარეობს გადასახადის აკრეფა ასურეთის რაიონში, სადაც შეწერილ 18 ათასს მანეთიდან უკვე აკრეფილია 10 ათასი მანეთი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანგარიშის ჩაბარების საქმე მაზრის ყველა 17 პუნქტში მოგვარებულია.

სექციამ საინფორმაციო მოხსენება მიიღო ცნობად.

ინვალიდების სავაჭრო გადასახადიდან განთავისუფლების საკითხი

სექციის ერთმა წევრთაგანმა აღძრა საკითხი ქუჩებში პაპიროსებით მოვაჭრე ინვალიდების სავაჭრო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. სექციამ დაადგინა სთხოვოს პრეზიდიუმს შეამციროს სავაჭრო გადასახადი ინვალიდებისათვის 50 პროცენტით.

სოფლად მუშაობის სექცია

მიწათმოწყობა თბილისის მაზრაში

(ამხ. ჩიქოვანის მოხსენება).

იმ თავითვე ქალაქის აღმასკომი დიდ ყურადღებას აქცევდა მიწათმოწყობას თბილისის მაზრაში. 1925 წლამდე შესრულებულ იქნა მთელ მუშაობის ერთი მესამედი. მაგრამ ამჟამად საჭირო ხდება ამ მუშაობათა ხელახალი შესრულება. მიმდინარე წლის მარტიდან 6 თვის განმავლობაში მიწათმოწყობა დასრულდა 12 სოფელში (სულ მაზრაში 320 სოფელია). მაზრაში მუშაობას აწარმოებს 9 მიწისმზომელი, რომელნიც მთელი მუშაობის დასრულებას მოუნდებიან 8—9 წლის განმავლობაში. 5 წელში მუშაობის დასრულებისათვის აღმასკომს უნდა ჰყავდეს 18 მიწისმზომელი და ქონდეს 268.000 მანეთი. მიწათმოწყობა სწარმოებს სხვადასხვა თემებში, ნორმად მოსარწყავ ზინაზე დაწესებულია 4 ნახევარი დესეტინა. მოურწყავ მიწაზე 6 დესეტ. ჩირგვიან ადგილებზე 7 ნახევარი, ხოლო საძოვრებზე 9 დესეტინა.

სექციამ დაადგინა, რომ მიწისმზომელებს გარდა დაწესებულ ხელფასისა და დღიურებისა, ზედმეტი მუშაობისათვის ეძლეოდეს ჯილდო სექციამ მიწისმზომელთა ექვსი თვის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ამხ. კორძახიას მოხსენება ძირითად საბჭოთა უჯრედების შესახებ გადაიდვა შემდეგი სხდომისათვის.

თბილისის განაპირა უბნების სანიტარული მდგომარეობა

(სანიტ. ექიმთა მოხსენებები ჯანმრთელობის სექციის სხდომაზე)

ჯანმრთელოპის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა სანიტარულ ექიმების მოხსენება ქალაქის განაპირა უბნების სანიტარული მდგომარეობის შესახებ.

ყველა უბნებზე საერთოდ შეიძლება ითქვას შემდეგი: უბნებში სუსტია კანალიზაცია, საკმაო არ არის წყალსადენის ქსელი ე. ი. მოსახლეობა ვერ იკმაყოფილებს წყლის მოთხოვნილებას, და თითქმის ყველა უბნებში მოკლებულნი არიან სანიტარულ-საგანმანათლებლო მზრუნველობას.

ცალკე უბნების მიხედვით კი მდგომარეობა ასეთია.

ავლაბარი

ავლაბრის სანიტარული რაიონი, რომელიც მახათის მთის ფერდობზე 256 კვად. დესეტინას შეიცავს, თავისთავად სალი ადგილია. სულ ავლაბრის სანიტ. უბანში 1374 სახლია 22.040 მცხოვრებით.

სახლების უმრავლესობას წყალსადენი არ აქვს გაყვანილი, ხოლო საზოგადო ონკანებიდან უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში მოქმედებდა მხოლოდ 3 ონკანი, მცენარეულობის მხრივ რაიონი ღარიბია, არის მხოლოდ ორი პატარა ბაღი.

საერთოდ უბნის სანიტარული მდგომარეობა უნუგეშო არ არის.

ნაძალადევი

ნაძალადევის უბანი მდებარეობს ქალაქის მაღლობ ნაწილში და შეიცავს დაახლოვ. 4-ნახ. კვადრატ. ვერსს. რაიონში 1600 სახლია 19.678 მცხოვრებით.

ნაძალადევის რაიონს ესაჭიროება წყალსადენის ქსელის გაგრძელება ჩერქეზიშვილის ქუჩამდი, სადაც მრავალი ბაკია, რომლებშიდაც ხშირად ღამეს ათევენ ახლო მდებარე სოფლებიდან ჩამოსული გლეხობა.

კანალიზაციის ქსელი გაგრძელებულ იქნა 3-ნახ. ვერსით.

ნავთლუღი

ნავთლუღის რაიონი შეიცავს 567 დესეტინას, რომლებზედაც გაშენებულია 1.373 სახლი 10.300 მცხოვრებით. რაიონი მოკლებულია წყალს, ამჟამად რაიონში გაუქმებულია 65 ონკანი, თითქმის ყოველ ეზოს აქვს ჭა, საიდანაც მცხოვრებნი იღებენ წყალს თეთრეულის და ხშირად ჭურჭლეულობის სარეცხავადაც. ეს მაშინ, როცა ჭები მდებარეობენ ფეხსადგილების ახლო, კანალიზაციას რაიონი 75 პროც.-ით მოკლებულია. რაიონის ნაკლია აგრეთვე მოუკირწყლავი ქუჩები და პატარა ქუჩებში განათების უქონლობა. რაც შეეხება საერთო სანიტარულ მდგომარეობას, უკანასკნელ ხანებში ეზოების სანიტარია 85 პროც. გაუმჯობესდა, ხოლო სამრეწველოს დაწესებულებები 90 პროცენტით.

მ ა ი დ ა ნ ი

ეს რაიონი შეიცავს 430 დესეტინას, სადაც გაშენებულია 800 ათას მცხოვრებით. სახლებთან მოწყობილ სანიტ. უჯრედების მეცადინეობით უკანასკნელ ხანებში რაიონის სანიტ. მდგომარეობა გაუმჯობესდა.

სახლების მთელ წყებას სრულიად არა აქვს წყალსადენი, 40 სახლს შეწყვეტილი აქვს წლის მიწოდება, ხარფუხი სრულიად მოკლებულია წყალსადენის ქსელს. რაიონებში მოწყობილია სანიტარულ-საგანმანათლებლო გამოფენა, სადაც გამოტანილია 800-მდე ექსპონატი. გამოფენის შენობაში სწარმოებს სანიტარ.-საგანმანათლებლო მუშაობა.

პროფკავშირებში

ა.-კ. პროფსაბჭოს პლენუმი

მეორე სხდომა

ა.-კავკასიის მრეწველობის პერსპექტივები

(მომხსენებელი ამხ. ლუკაშინი)

ა | კ. მრეწველობამ,—ამბობს მომხსენებელი,—თითქმის მიაღწია ომის წინანდელ დონეს. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლების წინაშე სდგას ამოცანა: გააუმჯობესოს სასოფლო მეურნეობა და მოახდინოს თანდათანობით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. განსაკუთრებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო მეურნეობის იმ დარგებს, რომლებიც მრეწველობას ნედლეულ მასალას აწვდიან. სამრეწველო ნედლეული ჩვენ უხვად მოგვეპოვება, უხვად გვაქვს აგრეთვე მადნეულობა, ასე რომ ა | კ. პირობები ყოველმხრივ ხელს უწყობენ მსუბუქ ინდუსტრიის განვითარებას, ჩვენი მდინარეების ენერგიის დაუშრეტელი მარაგი ერთი საუკეთესო პირობათაგანია მრეწველობის შესაქმნელად, მხოლოდ საჭიროა მრეწველობის განვითარებას მიეცეს გეგმაშეწონილი ხასიათი.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მუშა-ხელის საკითხი. მუშებად მომზადებულ უნდა იქნენ სოფლის ახალგაზრდობა, რომელმაც თავის ძალ-ღონე უნდა მიაშველოს განვითარების გზაზე შემდგარ მრეწველობას. ა | კ. რესპუბლიკების მიწის სივიწროვე ჰქმნის მუშა-ხელის დიდ მარაგს. ასე რომ მუშა-ხელის მხრივ ა.-კ. მრეწველობის განვითარებას საფრთხე არ მოელის.

მიმდინარე სამეურნეო წელს მთავრობას საშვალება აქვს მრეწველობაზე მოიხმაროს 15 მილიონი მანეთი. პირველ რიგში ყურადღება მიექცევა მსუბუქ ინდუსტრიის—საფეიქრო, თამბაქოს, ჩაის, აბრეშუმის მრეწველობის განვითარებას, რომლებიც დიდათ არიან დამოკიდებული სასოფლო ნედლეულზე. მსუბუქ ინდუსტრიის განვითარება მტკიცე საფუძველს შეუქმნის მსხვილ ინდუსტრიების წარმოშობას და რესპუბლიკის ელექტროფიკაციას. ამჟამად ჩვენი ამოცანაა—ა.-კავკასიის მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით შესწავლა და ერთიანი სამრეწველო გეგმის გამომუშავება ყველა ჩვენი რესპუბლიკებისათვის.

მესამე სხდომა

მუშათა კოოპერაცია ამ.-კავკასიაში

(ამხ. პიჩიკიანის მოხსენება).

უკანასკნელ ხანებში ა | კ. მუშათა კოოპერაციას დაეტყო ერთგვარი ჩამოქვეითება. 1925 წლის 1 ივლისისათვის მუშათა კოოპერაცია ა | კავკასიის მასშტაბით აერთიანებდა 140.758 წევრს. სავაჭრო პუნქტთა რიცხვი იმავე დროისთვის უდრიდა—632; სავაჭრო ბრუნვამ 1924-25 წლისათვის მიაღწია 40,5 მილიონ მანეთს.

ამჟამად კოოპერაციას დაეტყო სავაჭრო ბრუნვის შემცირება და ფინანსიური ხელმოკლეობა, რის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს საკუთარი თანხების უქონლობა. მუშკოოპის მთელი თანხები უდრის—2.692.000 მანეთს, აქედან ნასესხები თანხა არის—2.113.000 მან. თუმცა მუშათა მასსების შეკავშირების მხრივ კოოპერაციამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ, მაგრამ მას ბევრი დეფექტები აქვს. კოოპერაცია არ ერიდება დიდ ხარჯებს, დაგვიანებით აბრუნებს თანხებს საქონლის ბრუნვასთან შედარებით, ხშირია ფულის გაფლანგვა-მითვისება და მოისუსტებს კოოპერაციის სამუშაო აპარატი. აი მთავარი დეფექტები, რომელნიც კოოპერაციას აშორებენ მუშა-მომხმარებელს. პროფკავშირებმა ყოველგვარ ღონისძიებებს უნდა მიმართონ კოოპერაციის ხელისშესაწყობად და გასაჯანსაღებლად.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომლის დროსაც ამხანაგები აღნიშნავენ მუშკოოპის დავალიანებებს: საქონლის ასორტიმენტების შეურჩევლობას, უუნარობას საქონლის გაცემის დროს, სიძვირეს და სხვას.

ამ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კოოპერაციის აღდგენის საქმეში და არა პროფკავშირების ხელისშეწყობასო,—ამტკიცებდნენ ოპონენტები.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა პლენუმმა დამაკმაყოფილებლად სცნო, ხოლო რეზოლიუციის შედგენა ამ საკითხზე მიანდო კომისიას.

მეოთხე სხდომა

ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენება

(მომხსენ. ამხ. იაშვილი)

ამხ. იაშვილი შეეხო მუშა-ხელის მომზადების, უმუშევრობის და მუშათა სოციალურ დაზღვევის საკითხებს. მან აღნიშნა, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარებასთან ერთად კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. აღსანიშნავია, რომ ჩვენ დღევანდლამდისაც არ ვიცით, თუ რამდენი მომზადებული მუშა-ხელია ჩვენთვის საჭირო. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ზედმეტი საათების მუშაობა ხელს უწყობს უმუშევართა რიცხვის ზრდას; მაგალითად ბაქოს სამრეწველო-ჯგუფებში 6.000 მუშაა, რომლებიც ზედმეტ საათებს მუშაობენ, ამავე დროს ბაქოში ითვლება 5.000 უმუშევარი, რომლებიც სამრეწველო ჯგუფს ეკუთვნიან. ზედმეტ საათებთან ბრძოლა მით უფრო ძნელი ხდება, რომ ჩვენ არა გვყავს კვალიფიციური მუშა-ხელი, ამიტომ ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომები უმუშევრებისა და მოზარდების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მოზარდების მომზადება შეიძლება საფაბრიკო საქარხნო სკოლების საშუალებით, რისთვისაც საჭიროა ამ სკოლების ქსელის გაფართოება. უმუშევრობასთან ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ საზოგადო სამუშაოების მოწყობით. მუშათა სოციალურ დაზღვევის დარგში ბევრი ნაკლია: აღსანიშნავია, რომ ჩვენს დაწესებულებებს აქვთ ორი მილიონი დავალიანება, რომლის წინაღმდეგაც უნდა იქნას მიღებული შესაფერი ზომები.

საქართველოს კურორტები

(ამხ. აბზიანიძის მოხსენება)

ამხ. აბზიანიძე შეეხო საქართველოს კურორტების მდგომარეობას და აღნიშნა ის ღონისძიებები, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ღებულობდა და ღებულობს ჩვენი კურორტების სასურველ დონეზე დასაყენებლად. ამ ღონისძიების შედეგი არის ის, რომ ჩვენი კურორტების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა: 1922 წელს საქართველოს კურორტებით ისარგებლა 500 ავადმყოფმა, 1923 წ.—600, 1924 წ.—750, 1925 წელს კი—1.700 ავადმყოფმა კავშირის წევრმა. მომავალში საქმე უკეთ წავა, რადგანაც ჩვენი კურორტების მოსაწყობად განზრახულია მომავალ წელში დაიხარჯოს ერთ ნახევარი მილიონი მანეთი.

ხელფასის პოლიტიკა

(ამხ. ყურულაშვილის მოხსენება).

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შრომის ხელფასი ჩამორჩა შრომის ნაყოფიერებას, მრეწველობის ყველა ძირითად დარგებში. მომავალ წელს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დადებით ხელფასი გადიდდება. ყოველ შემთხვევაში ხელფასის მომატება დამოკიდებულია თვით შრომის ნაყოფიერების გაზრდაზე.

ცოტა უფრო რთულად დგას კითხვა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ 1-ლ ოქტომბრიდან ამ დაწესებულებებში ხელფასის უმცირესი განაკვეთი ცხრა მანეთზე ნაკლები მაინც იქნება. რაც შეეხება სამეურნეო ხარჯზე მყოფ და კოოპერატიულ დაწესებულებებს, იქაც მოსალოდნელია ხელფასის გადიდება, მაგრამ კოოპერატიულ დაწესებულებებს უფრო ფრთხილად უნდა მიუდგეთ, რადგანაც კოოპერაცია ჩვენ ძალიან ძვირად გვიჯდება. წარმოებებში ყველგან შემოღებულია ნარდი სამუშაო. საჭიროა საბოლოოდ იქნეს შემოღებული ასეთი წესით მუშაობა, რადგანაც იგი ხელს უწყობს როგორც შრომის ნაყოფიერების, ისე ხელფასის გაზრდასაც; რასაკვირველია, ამავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ნარდი სამუშაოების ზოგიერთი უარყოფითი მხარეები და უნდა ვებრძოლოთ მათ.

მუშა-ახალგაზრდობის კონფერენცია

კვირას, 4 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში გაიხსნა მუშა-ახალგაზრდობის საერთო-საქალაქო კონფერენცია.

პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, მოსმენილი იქნა ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება, ჩვენი პროფკავშირების ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა შრომის ნაყოფიერების ზრდა და ახალგაზრდობას განუმარტა, თუ როგორი მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ მათ ითამაშონ ამ ფრიად სერიოზულ საქმეში.

მომხსენებელი შეეხო პროფორგანოების ხელ-ახალ გადარჩევას და გააცნო კრებას, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ეს კამპანია.

შეეხო აგრეთვე უმუშევრობას და უმუშევართა კვალიფიკაციის გამოკვლევას და ამ მიზნით უმუშევართა ხელახალ რეგისტრაციას.

მომხსენებელი შეჩერდა შრომის ხელფასის საკითხზე და დამსწრეთ აცნობა, რომ განზრახულია მისი გადიდება 30 პროცენტით. ამავე დროს შეეხო კულტურულ მუშაობას და დასძინა, რომ უპირატესობა ამ საქმეში კლუბებს ეკუთვნით.

საღამოს სხდომა მოუნდა კამათს ამხ. ყურულაშვილის მოხსენების გარშემო. ამხ. გ. ყურულაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეული იქნა კომისია რეზოლიუციის შესამუშავებლად.

5 ოქტ. სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. სარქისოვის მოხსენება პროფმუშაობის შესახებ ახალგაზრდობაში. მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები, თუ რამდენი ახალგაზრდაა ჩაბმული წარმოებაში, რამდენია უმუშევარი, რამდენი გაიგზავნა დასასვენებელ სახლებში ამ ზაფხულს, როგორია ახალგაზრდობის ხელფას და სხვა ცნობები, რომლებიც ახასიათებენ მუშა-ახალგაზრდობის მდგომარეობას.

ქრონიკა

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

— **შაბიამანის და გოგირდის შეძენა.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატი მომავალ წელში ფილოქსერასთან ბრძოლის მიზნით შეუდგა საზღვარგარეთ 70 ათას ფუთ შაბიამანის და 50 ათას ფუთ გოგირდის შეძენის საქმეს.

— **ვენახების აღდგენა.** მიწათმოქმედების კომისარიატის 5 წლიან გეგმის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში განახლებული იქნება 6 ათასი დესეტინა ვენახი.

— **შინამრეწველობისათვის.** მიწათმოქ. კომისარიატის შინამრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა საზღვარგარეთ შეიძინოს 140 ათასი მანეთის მანქანები შინამრეწველობის საჭიროებისათვის.

— **ტყის მოსაშენებლად.** სატყეო განყოფილებამ ბორჩალოში შეაგროვა 30 ფუთი ფოთლიან ჯიშის ხის თესლები.

სოც უზრ. სახ. კომისარიატში

— **გლეხკომების მუშაობის შესახებ.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა თავის მორიგ სხდომაზე 5 ოქტომბერს დაადგინა—მთელი პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელობა ურთიერთ დამხმარე გლეხთა საზოგადოების, დაეკისროს ცენტრალურ გლეხკომს. კომისარიატის მხრით კი გლეხკომებზე გაძლიერებული იქნეს საერთო მეთვალყურეობა და კონტროლი.

— **არტელების საურთიერთო დახმარების და დამხმარე საზოგადოებათა ხელმძღვანელობის გასაწევად.** ინვალიდების არტელების, საურთიერთო დახმარების და დამხმარე საზოგადოებათა ხელმძღვანელობის გასაწევათ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებასთან მოეწყო სპეციალური კოლეგია სამი პირისაგან შემდგარი.

ავია-ქიმი

— **პლანერების აგება.** ავიაქიმის უჯრედებში წარმატებით მიმდინარეობს პლანერების აგება, საპლანერო შეჯიბრებში მონაწილეობის მისაღებათ.

— **მინერალური სალებავების ქარხანა.** ა | კ. ავიაქიმს განზრახული აქვს ააგოს ქიმიურ ნივთიერებათა მოსამზადებელი ქარხანა საქართველოში.

— **ავიაქიმის წევრები** წლიწადში იხდიან საწევრო გადასახადს მუშა-მოსამსახურეები—60 კ., გლეხები—30 კ., წითელარმიელები და მოწაფეები—24 კ.

ჯან. სახ. კომისარიატში

— ჯანმრთ. სახ. კომისარიატთან არსებულმა საექიმო საექსპერტო ბიურომ [illegible] განმავლობაში შეამოწმა 350 ინვალიდი მათი შრომის უნარიანობის გამორკვევის მიზნით.

— **შეღავათი.** 1 ოქტომბრიდან ქალაქის და სასოფლო აფთიაქები განთავისუფლებული არიან სამრეწველო და საშემოსავლო გადასახადებისაგან.

სხვადასხვა

— **გეგმის დამტკიცება.** ა | კ. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა საქონლის იმპორტის გეგმა—1.905.416 მანეთის და ექსპორტის—2.[illegible]53.000 მანეთის რაოდენობით.

— **შრომის პირობების გამოკვლევა.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა დაამთავრა ქუთაისის, შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ახალციხის მაზრების და ფოთის და ბორჯომის რაიონების სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მუშაკთა შრომის პირობების გამორკვევა.

— **მეფუტკრეობა.** ცეკავშირი ამზადებს 3 ათას ჩარჩოიან სკას და თბილისის აღმასკომი 2 ათას, რომლებიც მეფუტკრეებს დაურიგდებათ შეღავათიან ფასებში.

— **ინვალიდების კოოპერატიულმა საზ—ბამ—„დახმარებამ“** თავის საპატიო წევრებად აირჩია ამხ. კ. ხომერიკი და გ. პარკაძე.

— **დაზღვევ სალაროსთან** შემდგარმა საგანგებო თათბირმა გადასწყვიტა დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების საქმის გასაფართოებლად გააფართოოს ამბულატორიების ქსელი.

— **ცემენტი ზაჰესისათვის.** ზაჰესის საჭიროებისათვის ნოვოროსიიდან მიღებული იქნა 30.000 კასრი ცემენტი.

— **შმოლიგის თ. კ—ში.** ოთხშაბათს, ა | წ. 7 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე ა | კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის შენობაში (გრიბოედოვის ქ. 19) შესდგება ამხ. ტატულოვის და ფრიშმანის მოხსენება გრენვილის და ლოპენის წიგნის შესახებ „საქმის წარმოების ახალი მეთოდები“.

— **განათლების მუშაკთა** სახლთან არსებული პოლიტ-კურსებზე მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 12 ოქტომბრიდან.

— **ქართველ ექიმთა კრება.** ხუთშაბათს, 8 ოქტ. საღამოს 8 ს. საქ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება ქართველ ექიმთა საზ-ბის კრება. ვარლამ ჭიჭინაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ყბის საბილო მორჩის ნაადრევი ატროფია“. მიმდინარე საკითხები.

ხელოვნება

— **„სიცოცხლე მარსზე“.** 7 ოქტ. საღამოს 8 საათზე საქართ. საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეების კლუბში (ვერის ხიდთან) ამხ. ნ. სტრელეცკი წაიკითხავს ლექციას: „არის თუ არა სიცოცხლე მარსის პლანეტაზე“.

— **მსახიობთა კვალიფიკაციის გამოკვლევა.** ხელოვანთა პროფესიონალურმა კავშირმა საჭიროდ სცნო ქართველ მსახიობთა კვალიფიკაციის გამოკვლევა.

კვალიფიკაციის გამოსაკვლევად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ტ. ტაბიძე, კ. მარჯანიშვილი, ახმეტელი, ა. ფალავა და ვ. მაისურაძე.

— **სომეხ მხატვრის ბაშინჯაგიანის გარდაცვალება.** თბილისში გარდაიცვალა ცნობილი სომეხი მხატვარი გიორგი ბაშინჯაგიანი.

— **მოსაგონარი საღამო.** დღეს, საღამოს 7 საათზე, პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზ—ბის შენობაში გაიმართება 1905 წლის რევოლიუციის მოსაგონარი საღამო.

— **ავლაბრის** პირველდაწყებით მუსიკალურ სკოლაში სწავლა დაიწყო 1 ოქტომბერს.

— **რადიო-კონცერტი.** დღეს, საღამოს 7 საათზე, გაიმართება მორიგი რადიოკონცერტი, ტალღის სიგრძე—2100 მეტრი.

— **ახალი რომანი.** არ. ჯავახიშვილმა დასწერა ახალი რომანი: „მხიარული ანეგდოტი“. სიუჟეტი აღებულია ჩვენი ცხოვრებიდან. მოქმედება სწარმოებს რევოლიუციის წინა ხანაში.

შემთხვევები

ყაჩაღების თარეში

1 ოქტომბერს ერწოს თემში, კომკავშირელ ლევან არაბულს თავს დაესხნენ ყაჩაღები წიკლაური და გიგაური, რომელთაც თან ახლდათ სხვა რამდენიმე შეიარაღებული პირი. ავაზაკებმა აღნიშნულ არაბულს წაართვეს თოფი და ვაზნები.

ამის შემდეგ ყაჩაღები იმავე დღეს გადავიდენ ცხვარიჭამიის თემში, სადაც გაძარცვეს სოფ. თელეთის გლეხები.

ბოლოს იგივე ყაჩაღები შეესიენ ერწოს განაპირა სოფლებს, სადაც უნდა შეერთებოდენ ყაჩაღ ქიმბარაშვილის ბრბოს.

ერწოს მილიციამ მიიღო სასწრაფო ზომები და დაედევნა ყაჩაღებს. ცხვარიჭამიის თემში მილიციასა და ყაჩაღებს შორის მოხდა შეტაკება, რის დროსაც მოკლული იქნენ ყაჩაღები ზაქარია და ილიკო გიგაურები. დანარჩენებმა მოასწრეს მიმალვა.

— **შეპყრობა.** 5 ოქტ. შეიპყრეს ანდრია სულთანოვი, რომელმაც გაქურდა ტატიანას ქუჩაზე მცხოვრები გიორგი შვეთი.

— **ზაჰესში.** 29 ოქტ. ღამით ზაჰესის სამუშაოთა ადგილზე შეიპყრეს ვინმე ხევსურიანი, რომელმაც ზაჰესიდან მოიპარა საღებავები და სხვ.

კინო

სახელმწიფო კინომრეწველობა

— **კინომრეწველობის სამმართველოს გადასვლა პლეხანოვის პროსპექტზე.** საქართველოს კინომრეწველობის სამმართველო იმ მიზნით, რომ მჭიდრო კავშირი იქონიოს წარმოებასთან და უფრო წარმატებით ადევნოს თვალყური მის მუშაობას, ქარვასლიდან (თავისუფლების მოედანი) გადავიდა კინოფაბრიკის შენობაში. (პლეხანოვის პროსპექტი № 158 და 164).

— **ბეკნაზაროვის გამგზავრება სვანეთში.** საქართველოს კინომრეწველობის სამხატვრო-საწარმოო განყოფილების გამგე ბეკნაზაროვი დღეს, 7 ოქტომბერს მიემგზავრება სვანეთსა და სამეგრელოში „მჭედელ მიქავას“ ცალკე ეპიზოდების გადასაღებად. მასთან ერთად მიემგზავრება ოპერატორი ზაპოზლაევი. მსახიობთა დასი 40 კაცის შემადგენლობით, რომელიც მონაწილეობს „მჭედელ მიქავა“-ში, გაემგზავრება შაბათს, 10 ოქტომბერს.

ყველა საპავილიონო სურათების გადაღება, ჰარამხანის სურათის გარდა, დამთავრებულია. ჰარამხანის სურათი გადაღებული იქნება კინოფაბრიკაში დასის სვანეთიდან დაბრუნების შემდეგ.

— **რეჟისორ ი. ნ. პერესტიანის დაბრუნება განჯიდან.** რეჟისორი ი. ნ. პერესტიანი დაბრუნდა ქ. განჯიდან, სადაც იგი კინოსურათების „სავურის საფლავის“ და „აზერბეიჯანი“-ს ნატურ-გადაღებას აწარმოებდა მთის ტბის „გოოლ-შოლის“ მიდამოებში. ამ დღეებში რეჟისორი ი. პერესტიანი გაემგზავრება ბაქოში მხატვრული ფილმის „აზერბეიჯანის“ ნატურ-გადაღების დასამთავრებლად.

— **კინოფაბრიკის ნაყოფიერების გადიდება.** კინოფაბრიკის ლაბორატორიის გაფართოების გამო, კინოფაბრიკის ნაყოფიერებამ პირველ ოქტომბრიდან 2500 მეტრიდან აიწია 4800 მეტრამდე დღე-ღამეში, რაც სადღეისო პროგრამის 2 ნახ. შეადგენს.

ფიზიკური კულტურა

საქ. ფიზკულტურის საბჭოს პლენუმი.

ორშაბათს, 5 ოქტომბერს, საღ. 5 საათზე ამხ. ქავთარაძის კაბინეტში შესდგა საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს პლენუმის სხდომა.

პლენუმზე გააკეთა მოხსენება ამხ. მერკვილაძემ, ფიზკულტურის საბჭოს მუშაობის შესახებ.

მოხსენებაში აღნიშნულ მუშაობის ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლად მომავალში პლენუმმა აუცილებელ საჭიროებად სცნო მთელ რიგ ღონისძიებათა გატარება,—მათ შორის: მტკიცე დისციპლინის აღდგენა, რაც დაევალა სამეცნიერო-ტეხნიკურ განყოფილებას; ყველა უწყებებმა, რომელთაც კავშირი აქვთ ფიზკულტურასთან, ყოველ 6 თვეში ერთხელ უნდა წარადგინონ საბჭოში ანგარიშები მუშაობის შესახებ; აუცილებლად იქნა ცნობილი თვენახევრიან კურსების დაარსება ფიზკულტურის მუშაკების მოსამზადებლად და სხვ.

ახალი პრეზიდიუმი.

პლენუმზე მოხდა ფიზკულტურის საბჭოს ახალი პრეზიდიუმის არჩევა, ახალ პრეზიდიუმში შევიდენ შემდეგი ამხანაგები:

თავმჯდომარე—შ. ელიავა, მისი მოადგილე—ქავთარაძე. წევრები: მათიკაშვილი, აღნიაშვილი პეტრე, ჭელიძე ილია და გერასიმოვი. მდივანი—აბაზაძე.

მუშათა ცხოვრება

მოგვაშორეთ ეს პროვოკატორი—შოვინისტი

(პროკურორის და პოლიგრაფ. განყოფილების საყურადღებოდ)

სამხედრო კომისარიატის სტამბაში არის ერთი „უფროსი მუშა“—მაკარ გრიგორიევი. ამ კაცს ჩვენი კავშირის მუშები იცნობენ, როგორც პროვოკატორს, საზიზღარ პიროვნებას, სპეკულიანტს, როგორც კაციჭამია შოვინისტს ძველად. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რევოლიუცია ამ კაცს გამოასწორებდა, რომ იგი ხელს აიღებდა მას ასეთ საზიზღარ საქმეებიდან... მაგრამ მოვსტყუვდით.

დღიდან გრიგორიევის ჩვენ სტამბაში მოსვლისა ჩამოვარდა დიდი აყალმაყალი, ჩხუბი და მტრობა ჩვენი სტამბის მუშებს შორის. ეს აურ-ზაური გამოიხატება იმაში, რომ ის თავის პატარა ჯგუფით (სამიოთხი კაცი) ეწევა საზიზღარ პროვოკაციას ჩვენს შორის. მან თავისი ენით, ერთმანეთს გადაჰკიდა ზედა და ქვედა განყოფილება ჩვენი სტამბის მუშებისა;—ჩამოაგდო შოვინისტური შუღლი ქართველებსა და რუს მუშებს შორის და ამით ის თავის შავს საქმეს აკეთებს...

სამშაბათს, 6 ოქტომბერს მან თავისი საზიზღარი ნაციონალური შუღლით, თავდაჭერილობის ყოველგვარ საზღვარს გადასცდა და ქუჩური ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდა ქართველ მუშებს. ჩვენ აქ ვერ ავღნიშნავთ ყველა იმ ლანძღვა გინების კილოს, რომელიც მან იხმარა; პრესაში შეუძლებელია ამის აღნიშვნა. სხვათა შორის, მან სთქვა „ქვედა განყოფილება (ე. ი. ქართველი მუშები) ეს ქუჩის ქალების საზოგადო სახლია... მათ მაგარი კეტის თავში ცემით ქუჩაში უნდა გაყრაო“ და სხვა.

ჩვენი მასთან მუშაობა ყოვლად შეუძლებელი და აუტანელია. ეს პროვოკატორი უნდა დაისაჯოს ღირსეულად და გაძევებული იქნეს ჩვენი რიგებიდან.

ხელს აწერს 26 მუშა.

საბინაო ამხანაგობა სენაკში.

მუშათა კლასს ესაჭიროება ღირსეული ბინები, რომ მუშაობის შემდეგ თავისუფლად დაისვენოს და მოაწყოს თავისი ოჯახობა, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს. მას ესაჭიროება თავისი ბინა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოიშოროს თავიდან ის აურ-ზაური, რომელიც ხშირია მდგურსა და სახლის პატრონს შორის. ამ გარდამავალ ხანაში მუშებმა თავიანთ ძალღონით უნდა შექმნან თავისი სახლები.

ჩვენ მუშებს აღმშენებლობა რომ შეგვიძლია ბურჟუაზიაზე უკეთ—ეს დღეს ცხადია.

საბინაო კოოპერაცია, რომელიც წარმოადგენს რამოდენიმე შეკავშირებულ მუშათა ოჯახს თავისი ბინის მოსაწყობად, აკავშირებს მუშებს და ამავე დროს აწყობს მას ახალ წესზე. სენაკში შესდგა ასეთი მუშური საბინაო ამხანაგობა. მათ ალბად მალე სხვებიც მიბაძავენ, ხოლო ჯერ-ჯერობით ჩაწერილია წევრად ათი კაცი.

მათ განზრახვა აქვთ მოაწყონ ქალაქ სენაკში მუშათა უბანი და გაიკეთონ ბინები. საჭიროა დახმარება სესხით და სხვა. ჩვენ გვწამს, რომ ხელს შეუწყობენ სენაკის მუშებს ამ კეთილ საქმის დაბოლოვებაში.

მუშკორი უჩა.

ცოტა რამ დამზღვევ სალაროების შესახებ

უმეტესი ნაწილი ჩვენი დაწესებულებების თანამშრომლებისა ავადმყოფობის დროს საჭიროებენ შინაგან სნეულებათა ექიმის რჩევა-დარიგებას. მაგრამ რომ ავადმყოფი თანამშრომელი როგორმე მოხვდეს ექიმ ტერაპევთან, ამისათვის ის იძულებულია დღის 12—1 საათიდან დადგეს რიგში და ჩაეწეროს ავადმყოფთა სიაში. შემდეგ ხუთი საათიდან ექიმები იწყებენ ავათმყოფების გასინჯვას, რომელიც გრძელდება საათის რვამდე.

ამის ერთი მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ექიმთა სიმცირე. ხშირათ ექიმი ფიზიკურათ ველარ უძლებს შრომას. ხშირია მაგალითი, რომ თავმობეზრებული და სიმშილისაგან ძალაგამოლეული ავათმყოფიც გამოდის რიგიდან და სამუდამოთ ეთხოვება ამბულატორიას და სრულიად უნაყოფოდ აუარებელი სამუშაო საათები იკარგება ამბულატორიის კარებთან.

არა უკეთეს პირობებში იმყოფება ლოგინათ მწოლიარე ავადმყოფი. თანახმათ დამზღვევი სალაროს წესებისა, ექიმი ვალდებულია გამოცხადდეს ავათმყოფთან ორდერის აღების შემდეგ არა უგვიანეს 8 საათისა, უმეტეს შემთხვევაში ექიმი უფრო ადრეც მიდის ავათმყოფთან, მაგრამ არის ბევრი შემთხვევები, რომ ექიმი ვერ ასწრებს იმ დროის განმავლობაში ავათმყოფებთან მისვლას.

ამ წერილის დამწერს ჰქონდა შემთხვევა ივლისის თვეში, რომ მასთან გამოცხადდა ექიმი მხოლოდ მეოთხე დღეს ორდერის აღების დროიდან და ისიც იმ დროს, როდესაც ავათმყოფი იძულებული გახდა ოთხჯერ გაეგზავნა კაცი ექიმისათვის.

აუცილებლად საჭიროა ეს ნაკლი გამოსწოროთ.

შ—ტ—ი.

ორ ცეცხლ-შუა

გასულ სამოსწავლო წელს შრომის სკოლებში სწავლა-დილითაც და საღამოთიც მიმდინარეობდა, მაშინ მოწაფეებს შეეძლოთ, როდესაც მათ უფრო ემარჯვებოდათ, იმ დროს ეარნათ სასწავლებელში. ეხლა ყველაფერი არიეს. ერთი ჯგუფის სწავლა იწყება დილით, მეორე რიგი კი იწყებს სწავლას პირველ საათზე.

გასაკვირია, რატომ არ უწევენ ანგარიშს ზოგიერთ მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელნიც ხელმოკლეობის გამო სწავლასთან ერთად სამსახურში იმყოფებიან.

— რა ქნან მათ?

დაანებონ თავი სამსახურს, მაშინ საარსებო წყარო აღარ ექნებათ და ვეღარც სწავლას განაგრძობენ, არ დაანებონ და უსწავლელნი რჩებიან.

ა. გვინჩიძე.

სოფლად

საზოგადო კრებების გამოცოცხლებისათვის

თემის საზოგადო კრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლის ცხოვრებაში. აქ წყდება უაღრესათ საჭირბოროტო საკითხები. სოფლის დიდი უმრავლესობა მხოლოდ ასეთ კრებაზე დასწრებით ღებულობს მონაწილეობას საზგადოებრივ მუშაობაში. მას ან არ სცალია, ან ზოგჯერ ძალაც არ შესწევს ყოველდღიურ საზოგადოებრივ მუშაობაში ჩასაბმელათ.

ამიტომ თემის კრება სოფლად საზოგადოებრივ შეგნების და გათვითცნობიერების ერთ საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს. ის განსაკუთრებულ ყურადღებას და წინასწარ მომზადებით ჩატარებას საჭიროებს. სინამდვილე კი სრულიათ წინააღმდეგს გვიჩვენებს. სოფლის საზოგადო კრებები, როგორ ამაზე სჩივიან კორესპონდენტები, დაავადებულია პროფკავშირების და სხვა ჩვენ საზოგადოებრივ ორგანიზაციების სენით.

უხალხობა საზოგადო კრებაზე, თემის აღმასკომის მიერ მშრალ და ჩინოვნიკურ ეხით მოხსენებების კითხვა, გრძელი დღის წესრიგი და ზოგჯერ ქალაქიდან ჩასული „მჭერმეტყველი“ სტუმარი, რომელიც საათებით აცდენს კრებას ჩემბერლენბრიანზე უხეირო მასლაათით, აურზაური და უწესრიგობა.—ყოველივე ამის მოწმე არა ერთი და ორი ჩვენი სოფლის მუშაკი ყოფილა. რაღა თქმა უნდა ასეთ პირობებში ქალების საზოგადო კრებებში ჩაბმაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია. ჩვენი სოფლის ყრილობები დღემდი, განსაკუთრებით მამაკაცთა კრებულს წარმოადგენენ.

ასეთ საზოგადო კრებებს ეკარგება ავტორიტეტი თვით მოსახლეობის თვალში. მის დადგენილებებს ანგარიშს არ უწევს ხშირათ არც თემაღმასკომი, არც ცალკე მოქალაქეები. ამის მაგალითები ერთი და ორი არაა ჩვენს სინამდვილეში. ამიტომ სოფლის საზოგადო კრებების გამოცოცხლებისათვის, მათ ავტორიტეტის ამაღლებლათ საჭიროა მივმართოთ ისეთ ღონისძიებებს, როგორსაც ამ შემთხვევაში ადგილი აქვს საბჭოთა სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

როგორია ეს ღონისძიებები?—რაც შეიძლება მოკლე და შინაარსიანი დღის წესრიგი; კრების დანიშვნის დროის მოხერხებულათ შერჩევა, საკითხების წინასწარი შესწავლა, მომზადებულ მომხსენებლების წამოყენება და კრების ხელმძღვანელ პრეზიდიუმში სათანადო გამოცდილების მქონე პირთა არჩევა.

საზოგადო კრება სოფლათ მშრომელთა დემოკრატიის საუკეთესო გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს. მისი შესაფერ სიმაღლეზე დაყენების საქმეზე პირველყოვლისა თემაღმასკომების პრეზიდიუმებმა უნდა იზრუნონ.

ა. ზ—ლი.

დაწყებულს დამთავრება უნდა

სოფელ ფხვენისში, რომელიც ლიახვის პირას მდებარეობს, ჯერ კიდევ შარშანწინ აღძრეს საკითხი ელექტრონის გაყვანის შესახებ, რომელსაც გლეხობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. სოფლელები ყოველ დახმარებას უწევდნენ ადგილობრივ კოოპერატივს, რომ მას ლიახვის პირას დაედგა დროებით დინამო-მანქანა, რომელიც გაანათებდა სოფელ ფხვენისს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სოფლის კოოპერატივებთან შედარებით ფხვენის კოოპერატივი მეტათ კარგ პირობებში იმყოფებოდა. ამიტომ გლეხობა კოოპერატივის გამგეობასთან შეთანხმებით შეუდგა დინამო-მანქანის დადგმას.

სოფლათ უკვე დასმულია ელექტრონის მავთულებისათვის ბოძები, მაგრამ დღემდი დაწყებული საქმე უძრავათაა. უნდა აუცილებლივ დამთავრდეს სოფ. ფხვენისში ელექტროსადგურის აშენება, ამისათვის საჭიროა მთავრობის დახმარება.

ვლ. დვალი.

წერილებიდან

ლიხაური

„მოძრავი“ გლეხკომი. მაზრის გლეხკომის თავმჯდომარე მუშკუდიანს თითქმის ვერასოდეს ვერ იპოვით დაწესებულებაში. ის მუდამ სამიკიტნოში და დუქნიდან დუქანში დასეირნობს. საქმეზე მოსული ხალხი მას ხშირათ უკან დასდევს. ამნაირათ მუშკუდიანს სამიკიტნოებში უხდება მოვალეობის შესრულება.

ა.

ს. ტყიავი (გორის მაზრა)

ძველებურმა წამოუარა. პირველ ოქტომბერს ყოფილი ოფიცერი ლეო გაბუნია მიუვარდა გლეხ გიორგი ქარელს, გამოიხმო სახლიდან და დაუზოგავათ სცემა, თითქოს იმიტომ, რომ ქარელის კამეჩი შესულა გაბუნიას ბაღში. გარდა ამისა ამასწინეთ გაბუნიამ მოუკლა მეორე მეზობელს 5 ფუთიანი ღორი. საჭიროა მაგარი ლაგამი ამოედოს მას.

ლიახვისპირელი.

ნაგვაზოუ (სენაკის მაზრა)

უნდა აიკრძალოს. ჩვენს თემში მეტათ გავრცელებულია ბანქოს თამაში. ამ „ხელობით“ იმდენათ ირყვნება გლეხობა, რომ ზოგიერთი ბანქოს თამაშით გაკოტრებული, აღარ უბრუნდება შრომას და ქურდბაცაცობას ეტანება. ბანქო რყვნის აგრეთვე სოფლის მოზარდ თაობასაც. ეს მავნე ჩვეულება უსათუოდ უნდა აიკრძალოს.

ლორი.

სოფლის ფოსტა

თ. ჩ—ეს (დვაბზუ) წერილი არ გამოგვადგა.

ნიკ. ცხაკაიას. რედაქცია ადასტურებს, რომ „კომუნისტი“-ს №-128 მოთავსებული „წყალტუბელი რუმბი და ტიკბორა“-ს ავტორი თქვენ არა ხართ.

მკურნალს (ბორჯ.) პირველი წერილი დაგვიანებულია. თქვენ მიერ აღნიშნული ფაქტი გაშუქებულია. წერილები მოგვაწოდეთ შემდეგშიაც.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 45

საქარ. სოც. საბ. რესპუბლიკის შრომის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა.

1925 წლის სექტემბრის 23-ს

„თემის ფარგლებში დაწესებულებათათვის დასვენების დღის შეცვლის შესახებ“.

ვინაიდან თემის ფარგლებში მომქმედი ხელისუფლების ორგანოები და სახელმწიფო დაწესებულებები უშუალოდ ემსახურებიან სოფლის გლეხობას, რომელთათვისაც კვირა დღეები ადგილობრივი მეურნეობის და ბაზრობის პირობების მიხედვით ყველაზე მოხერხებული დღეა, ხელისუფლების ორგანოებში გამოცხადებისათვის—სხვადასხვა საკითხების გამო (განცხადების ან საჩივრის შეტანა, ცნობის ან მოწმობის მიღება, კრებაზე ან სხდომაზე დასწრება და სხ.) ამიტომ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შრომის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები შრომის კანონთა კოდექსის 110 მუხ. თანახმად ადგენენ:

1. საბჭოთა ხელისუფლების ყველა იმ ორგანოს და დაწესებულებისათვის, რომლის მოქმედება განისაზღვრება თემის ფარგლებით და აგრეთვე ხირაიონო მილიციისათვის, კვირა დღე აღიარებული იქნეს სამუშაო დღეთ.

2. ყოველკვირეული დასვენების დღეთ 1-ლ მუხლში აღნიშნულ ორგანოს და დაწესებულების თანამშრომელთათვის კვირის მაგივრად დაწესებული იქნეს ორშაბათი.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. იმ რაიონებში, სადაც ყოველკვირეულ დასვენების დღეთ მიღებულია პარასკევი, უკანასკნელი აღიარებული იქნეს 1-ლ მუხლში მოხსენებულ დაწესებულებათათვის სამუშაო დღეთ, ხოლო მის მაგიერ დასვენების დღეთ დაწესებულ იქნეს შაბათი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შრომის სახალხო კომისარი—ა. მიქაძე.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. შინ. საქ. სახ. კომისარი—შ. მათიკაშვილი.

საქ. ს. ს. რ. შრომ. სახ. კომ. საერთო-სამრ. განყ. გამგე—ე. კვირიკაშვილი.

შეთანხმებულია: საქ. ს. ს. რ. პროფკავშირთა საბჭოს პ. მგ. მდივანი გ. ყურულაშვილი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ ამხ. მდინარაძესთან ერთიანი პარტიული ბილეთის მისაღებად:

1. კობერიძე თეოფილე, 2. არუთიუნოვი ხრუთიუნ, 3. ხამუშიან აშოტ, 4. პოპოვი სტეფანე, 5. ტაგიზადე ასადუ, 6. ხუციევ არმენაკ, 7. ასლანიშვილი გრიგოლ, 8. სიმონიან მანუკ, 9. გლორჯაძე თედო, 10. ტერ-მინასიან ლევან, 11. ნადეტვარიძე ივანე, 12. აკიმოვი სტეფანე, 13. გრიგორიან გრიგოლ 14. ხალატიან მხიტარ, 15. კუდრენკო არსენტი, 16. ბრეწუაშვილი ივანე, 17. გრიგორიან ბაგრატ, 18. მკრტიჩიან ხაჩატურ, 19. მღებროვი სედრაკ, 20. ისრაელიან ოვანეს, 21. ჯონაშვილი კონსტანტინე, 22. სირაძე ვარდენ, 23. ბაბაიან რუბენ, 24. გალიან გრიგოლ, 25. მოროზოვი ვასილ, 26. სტეპკო ივანე, 27. ასლანოვი არშაკ, 28. ასრიან გრიგოლ, 29. გამზიევი გიორგი, 30. ნერსესიან სედრაკი. 31. ხოჯამარკაროვ მელიკ, 32. ხაჩატუროვი კარაპეტ, 33. ხალატიან კარაპეტ, 34. იაგუტოვი გიორგი, 35. დარაბჩევი ვართან.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის სააგიტ-საპროპ. განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს 7 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე (პლეხ. 96) მოწვეულია სააგიტ-პროპ. ორგანიზატორთა თათბირი პოლიტსკოლების და საღამოს საბჭოთა პარტიულ სკოლების ხელმძღვანელების თანადასწრებით.

ყველა უჯრედების აგიტ-პროპორგანიზატორთა და შემდეგ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: ლოგინოვი, ბიგაევი, ჯუდლი, ტურუკინი თედორე, ბუნიატოვა—ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტიდან, ტინტიკოვი, ცაგარეიშვილი, კაზაროვი, მელაძე რაჟდენ, სერაძე, გრიშენკო, მაჩალოვი, არუთიუნოვი, პალატინი, პოპოვი, ფირსოვი, სარუხანოვი, ხაჩატურიანი კარაპეტ, მანუკიანი აშოტი, სევიანი.

მდივანი მელაძე.

— ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს 7 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე 72 შრომის სკოლის შენობაში (ლერმონტოვის და ველიამინოვის ქუჩ. კუთხე) გაიმართება მე-4 რაიონის სადელეგატო კრება.

ყველა ორგანიზატორების და დელეგატ-ქალების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლათ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში გაიმართება **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტეტის მდივანი მიხ. კახიანი.

— საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს 7 ოქტომბერს დღის 1 საათზე გაიმართება საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა. საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრთა და ქვემოაღნიშნულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

1. ჯანაშია, 2. ფურცელაძე, 3. ოკუჯავა, 4. მარიკოვი, 5. კუპრაშვილი, 6. პირველიშვილი, 7. ქურულაშვილი, 8. ზალდასტანიშვილი. 9. სემენოვი, 10. ალიბეგაშვილი, 11. სუხანსკი, 12. ჩანკოშვილი, 13. კარაპეტიან, 14. შმულევიჩ მოსე, 15. დილა როსსა.

კომკავშირის თბ. კომიტ. საორგ. განყოფ. გამგე ზეგეჭკორი.

— საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ შაბათს 10 ოქტომბერს, 4 საათზე პროფკავშირთა საბჭოს წითელ დარბაზში მოწვეულია კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმი.

თბილისის კომიტეტის წევრთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლათ.

დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: 1. საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის მოხსენება, 2. თბილისის ორგანიზაციის მორიგი ამოცანები შემოდგომის პერიოდში (მუშაობის გეგმა), 3. აქტივის შესახებ, 4. პიონერთა შორის მუშაობის შესახებ 5. თბილისის კონფერენციის შესახებ.

კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი გობეჩია.

განცხადებები

ღრმა მწუხარებით გულდამწვარნი მეუღლე ილია ხერხის ძე ხვედელიანი, შვილები—დარიკო და ქრისტინე მამის შვილები—ალექსანდრე და ლასიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი საყვარელი

ალათი შიოს ასული ხვედელიანი

პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათიდან. დაკრძალვა მოხდება 8 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე. ბინა: ბათუმის ქ. № 18.

1—1 № 85

ღრმად დამწუხრებული კონსტანტინე შიოს ძე ღვარელი, მეუღლე ლუბა და შვილი თამარი აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

ალათი ხვედელიანი

პანაშვიდები ყოველ საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება 8 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე. 1—1 № 85

დედა ლიზა პავლეს ასული, დები: ეკატერინე მიხეილის ასული გალდავაძისა, მარიამი, ოლიმპიადა, თამარი, ძმა დავითი და სიძე ექიმი სტეფანე მიხეილის ძე გალდავაძე შვილებით; გულიკო, კაკო, რევაზი და ლენა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს (მეორე დის სიკვდილს), რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში 4 ოქტომბერს გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

ოლღა (ოლია) მიხეილის ასული სანაძე,

რომლის გასვენება ზემოდ ნახსენები საავადმყოფოდან ქ. ხონში მოხდება ოთხშაბათს 7-ს ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზე.

1—1 86

ღრმად დამწუხრებულნი ცუცა გიორგის ასული და კოტე ვაშაკიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფას ბიძაშვილის

ოლღა (ოლია) მიხეილის ასული სანაძის

უდროვოდ გარდაცვალებას. ცხედარის გამოსვენება ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტიდან (ყოფილი მიხეილის საავადმყოფო) დანიშნულია ოთხშაბათს, 7 ოქტომბერს, ნაშუადღევს 2 საათზე თბილისის სადგურზე. დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში. 1—1 79

ოზურგეთის მაზრის განათლების განყოფილება მწუხარებით აუწყებს განათლების დარგში მომუშავეთ, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი და პატიოსანი მუშაკი, განათლების განყოფილების ინსტრუქტორი,

ანდრო დოგორჯგინიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება ს. ჯურუკეთში ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს.

1—1 ნ. 1811

ოზურგეთის სამაზრო განათლების კავშირის გამგეობა გულითად მწუხარებით აუწყებს განათლების ასპარეზზე მომუშავეებს და საზოგადოებას, მოულოდნელად გარდაცვალებას ერთგული ამხანაგისა და თავდადებული მუშაკის, განათლების განყოფილების ინსტრუქტორის

ანდრო დოგორჯგინიძისას

რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს სოფ. ჯურუკეთში

1—1 ნ. 1811

გულდათუთქული ბიძა სვიმონი და ბიცოლა მარიამ გიორგობიანები, დები—თამარა ნიკოლოზის ასული მიქელაძისა და საშიკო შელიძისა, დეიდაშვილი ნადია ჯაფარიძისა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, სტუდენტი

ფილარეტ ნიკოლოზის ძე გიორგობიანი

გამოსვენება მოხდება 7 ოქტომბერს 4 საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 1—1 90 (ა)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: [illegible] და დარიკო კალანდაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნა[illegible], რომ 4 ოქტომბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი შვილი

ემერი

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი, ნაშუადღევს 4 საათზე. გამოსვენება მოხდება ალექსანდროვის ქუჩიდან № 28. დასაფლავება ვერაზე ყოფ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

58 2—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

14—7

თბილისის აღმასკომის № 70 სავალდებულო დადგენილების თანახმად

(იხ. 1925 წ. სავალდებულო დადგენილებათა კრებული)

ქალ. თბილისში და მის მაზრაში მდებარე ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებების მმართველ-გამგენი, მეპატრონენი ან მოიჯარადრეები,—ვალდებულნი არიან იქონიონ შესაფერი აბრები, რომელზედაც აღნიშნულ უნდა იქნეს წარმოება-დაწესებულებების სახელწოდება და სხვა.

რადგან ხშირია შემთხვევა აღნიშნულ წარწერების შეცდომებით და გაუგებრად დამზადებისა, თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება ადგენს, რომ ზემო აღნიშნული პირნი ვალდებულნი არიან ყოველგვარი წარწერის შინაარსი წინასწარ, აბრის შეკეთებამდე, წარადგინონ თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში (ლადო დუმბაძის ქ. № 7 ოთ. № 8), სადაც წარწერას, მართლწერის მხრივ, განიხილავენ და ამის შემდეგ დაინტერესებულ პირს შეუძლია შეუკვეთოს შესაფერ სახელოსნოს აბრის დამზადება.

თბ. აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების
უფროსი ხმალაძე
საერ. საადმინ. ქ/ განყოფილ. უფროსი კილურაძე

ნ. 5 1—1

იყიდება საქართ. ტეხნიკური საზოგადოების

გამოცემანი

პ. ლანდია. „ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო“ ინჟ. გ. კაკაბაძის რედაქციით . ფასი 2 მან.
ინჟ. გ. კაკაბაძე „შინამრეწველობის გავითარების საკითხი ჩვენში . . . ფასი 50 კაპ.
„ „ „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი . . . ფასი 50 კაპ.
„ „ „ქიმიური ომი და მშვიდობიანი მრეწველობა“ . . . ფასი 50 კაპ.
„ „ „ხის მასალის ქიმიური გადამუშავება“ (ამ დღეებში გამოვა)—

თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის კანცელარიაში (კამოს ქ. № 70, ტელ. 10—48), ამხ. „სორაპანის“ წიგნის მაღაზიაში. გიორგევის ქუჩა № 5 დარაბა 1113. „განათლების“ (ლენინის ქ., № 6), „წერაკუმსის“ წიგნ. მაღაზიებში (რუსთველის პრ., 11).

ქვ. № 90 1—1

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი

1925—1926 წლის სეზონი

ქალები	ვაჟები
პანკრატოვა	კიპარენკო-დამანსკი
პოპოვა	კავსაძე
გოკოვა	სინიცკი
დანელიან	ქუმსიაშვილი
გარონკინა	ალექსაშინი
სედენკო	ინაშვილი
ცაგარელი	ვენაძე
მრავალი	ქარცივაძე
ვალაცცი	ელიოზიშვილი
მოლჩანეცკაია	ისეცკი
მაჟაშვილი	ილინი
ნეიმან	სუხოდოლსკი
შელუდკოვსკაია	დემიანენკო
გილბერტ	ქურხული
ვლადისლავსკაია	ვნუკოვსკი
	ლორთქიფანიძე
	იმერელი

დირიჟორები: სახ. არტ. ივ. ფალიაშვილი.
დამსახურ. არტ. ს. სტოლერმანი, ი. მელიქ-ფაშაევი
მთავარი რეჟისორი ურბან
რეჟისორი ბურეს.
ხორმეისტერი გელსკი.
ბალეტმეისტერი ს. სერგეევი.
ოპერის გამგე დამსახ. არტისტი ს. ევლახოვი

ნ. 2 1—1

ხელის მომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

ტფილისის მე-2-რე უბნის არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი

აცხადებს, რომ ის 1925 წლ. 10 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ვერცხლის ქ. № 52

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის ლევან ბერიანიძის კუთვნილ მოძრავ ქონებას.—100 ვედრო ღვინოს, 10 ვედრო ძმარს, მაგიდებს, სკამებს, ჭურჭლეულობას, კედლის საათს, ღვინის კასრებს და სხ.

ნ. 3 1—1

სახალხო განათლების კომისარიატის სააღმშენებლო კომისია

ამით აცხადებს, რომ 9 ამ თვეს დღის 12 საათზე, კომისარიატის შენობაში (ოთახი № 19) მოხდება

საჯარო ვაჭრობა

ქალაქ ტფილისში მდებარე საბავშვო სახლებში, ერმოლოვის ქ. № 15-ში და იზმაილოვის ქ. № 5 შუშაბანდების გაკეთების და სხვა სამუშაოს ასრულებისა. დაწვრილებითი ცნობები და კონდიციები შეიძლება მიიღოთ ყოველდღე კომისარიატის შენობაში, ოთახი № 19-ში, 11-დან 1-ლ საათამდე.

1 1—1

ბარე-უბნის სასამართ. აღმასრულებ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 10 ოქტომბ. 1925 წ. საათის 1, ს. ყარატაფაში საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის თ. გაბელას მოძრავ ქონებას, აგურს და ალიზს შეფასებულს 1000 მან. დასაკმაყოფილებლად მიწა-ტყის კავშირისა, ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

81 1—1

დავკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 48069, მიკიჩა სიმონიანცის სახელზე. ჩ. გ. 78 1—1

დავკარგე ბინის წიგნაკი ნატალია ახნაზაროვისა მცხოვრებმა ქ. ტფილისში ანტონოვის ქ. № 23. ჩ. გ. 85 (ა) 1—1

დავკარგე პარტბილეთი № 1897 ილია იაკობის ძე ბალავაძის სახელზე. ჩ. გ. 80 1—1

დავკარგე ლომბარდის საგირავო ქვითარი № 7822 პავლე გოცირიძის სახელზე ჩ. გ. 83 1—1

დავკარგე პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 1097 არჩილ ქუშაშვილის სახელზე. ჩ. გ. 84 1—1

დავკარგე სალექციო წიგნაკი № 678 გაცემული ტფილ. სახელმწ. უნივერსიტეტიდან ვალერიან ალექსანდრეს ძე წერეთელის სახელზე ჩ. გ. 82 1—1

დავკარგე ტფილისის სახელმწ. უნივერ. მოცემული მატრიკული ირაკლი მჭედლიშვილის სახელზე. ჩ. გ. 87 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 646 პოლიაკტორ არ. სვანის სახელზე. ჩ. გ. 88. 1—1

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 20513 პართენ კუბეცის სახელზე. ჩ. გ. 91 1—1

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი № 9 გრიგოლ ჯვერენის სახელზე. ჩ. გ. 89 1—1

ტირაჟი—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სამი წულუკიძის ქუჩა № 4